

138  
1914/2

რედაქცია



# საქართველო



1914

ს. გ. კ. ი. ს. ტ. ო., № 8. მოსკოვში დაბეჭდილი.



ქართული  
ნაციონალური  
ბიბლიოთეკა

# ნაკადული

საქმასწავლებლის  
ქუნალი.

წამოვიყალიბეთ. ❁ აგვისტო, 1914 წ.



3726


სურ.—მორგანისა.





ს ა რ ჩ ე კ ი

I—სურ. მორგანისა.	3
II—მეწყინა, — ლექსი შ. მღვამელისა	5
III—ყვავილები ჩივილი, — ცქვიტისა.	11
IV—მოკიდავე, — ღვ. კალთხანიძისა.	14
V—ტოროლა, — სდა ლექსი ღ. თურდოსმირელისა	16
VI—საოცარი ვაშლი, — (ხალსურა ზღაპარა) ჩაწერილი ნიკ. დარაშვილისაგან	28
VII—დილის სიო, — ლექსი ი. სიხარულაძისა	31
VIII—მინიონა, — შაჰსრობა ფონ-როდუნისა (გაგრძელება) თარგმ. გ. ღ—ძისა	39
IX—ძვირფასი ნადირი, — (გაგრძელ.) ნ. ნ—ძისა	47
X—ბრძოლა აღამიანისა ბუნებასთან, — წერილი შუორე, ი. როსტომაშვილისა	51
XI—ევროპიელ ხალხთა ომი, — ირაკლისა	56
XII—ზზის დაბნელება რვა აგვისტოს, — ვახტანგ კოტეტი-შვილისა	63
XIII—გასართობი: გამოცანა და აღსნა	



ქვემოთაა — რუს

ტფილისი, კლკ. — შუბკ. ა. კერესელაძის, გაბაევის შესახვევი, № 1.



# მეფუნა.

(მოწაფე ლაურენ. ვარსევანაშვილის ხსოვნას).



მეფუნა, გული მომიკვდა,  
ფეიცავ ჩემ ყვაველთ ლხენასა;  
ფეიცავ ფრინველთა ჭიკჭიკსა,  
იმათ ვალობა—სტვენასა.

ფეიცავ სათუთი ბავშვების  
უმანკო გულის რწმენასა,  
ფეიცავ ქრელ-კაბა პეპელას  
და იმის უხმო წყენასა.

ფეიცავ... ეჰ! რაღა რას ფეიცავ:  
გულმა კვლავ იგრძნო ტკივილი;  
ძალიან ცუდად ამიხდა  
ტიალი ჭოტის კივილი.

ჩემს ტურფა ბალში შევედი  
გუშინ რიერაეზე დილითა,  
თან ყვავილები მიმჭონდა  
იქ დასარგველად ცბრილითა.

შევედი, მაგრამ სადღაა  
ყვაველთ ჩურჩული, შრიალი,—



მათი ლამაზი თვალების  
 მორცხვი დახრა და ტრიალი.

ყველანი შწარედ კენესოდნენ,  
 ყველას კრემლები სდიოდა,  
 ყველა ვილასაც ტიროდა,  
 ყველა რაღასაც ჩიოდა.

შხოლოდ ნარგიზა ყვავილსა  
 ფერ-ფური შემოპკლებოდა:  
 გვერდზე ვადეგდო ჭოჩორი,  
 ყვავილებს ეთხოვებოდა.

მიბნედილს, გრაჩობა-მიხდილსა  
 ენა და პირი აეკრა,  
 იმ შეჩვენებულ კრაზანას  
 გულში ნესტარი დაეკრა.

რად? რისთვის? ჩემსა ამაგსა  
 თუ შურით ეკიდებოდა,—  
 იმ დედის ძუძუს ერთასა  
 ნეტავ რას ეპართლებოდა?!

მეწყინა, გული მომიკვდა,  
 ჩუმად დავიწყე ხავილი:  
 ჩემ ბაღჩას კიდევ მოაკლდა  
 ერთი რჩეული ყვავილი.

შიო მღვიმელი.



## ყვავილების ჩივილი.



ანამ თებრონე შემოვიდოდა, ოთახში უბმო და უცნაური ბეკობა და ლაპარაკი სუფევდა. ყველაზე მეტს-კი საათი მეტყველებდა; გერის წმინდა გიორგის ქადაგივით ერთხელ-კი ატეხილიყო და ვინ იცის აწმყოზე და მომავალზე რანაირი ხმით არ მოსთქვამდა:

— განა არ ვიცო, ნაზ და მშვენიერ ქმნილებას ამ ჩვენ ქვეყანაზე ადგილი არ ჰქონია. არა, შე და ჩემმა გამჩენმა, თორემ, აბა შეხედეთ ამ ლიპიანსა, — ეს სიტყვები-ლა მოისმა უკანასკნელად, როდესაც კარებში სქელი თებრონე აჩუხჩუხებულ სამოვარით ძლივს შემოვიდა, სუფრა-გადაშლილ მაგიდაზე სამოვარი ქეშელა ტოლუმბაშივით გამოჰქიმა და ქურქელი აახმაურა. შემდეგ უკან გატრიალდა, ახლად მოკრეფილი ყვავილები დერეფნიდან პატარა ბიქს ჩამოართვა და ვილასაც გაეპასუხა:

— დიად, მზად ვახლავთ, ახლავე გიახლებითო. — ამ სიტყვებთან ერთად ოსურ ხაჭაპურივით ერთი საშინლად დაიღრიჯა და თან მიიყოლა:

— აი, ლიახემა გზიდოთ აღიდებულმა, რომ თქვენგან მოსვენება ილარა მიქვს. ერთი დროზე თუ არ გავეცალე,



სწორედ კლექში ჩამაგდებენ ეს გასაწყვეტნი, — ბუზღუნით და-  
ათავა თებრონემ, და კარებში რომ პირდაპირ ვერ გაეტია,  
გვერდ-გვერდ გამობრააკუნდა.

ოთახში ისევ სიჩუმე ჩამოვარდა; მხოლოდ სამოვარი ბაყ-  
ბაყ დევივით რალაზედაც ბუტბუტებდა და ბუბრის თავზე  
აწიკწიკებულ საათს უჯავრდებოდა:

— არა, გამიშვით, გამიშვით, მაგ ლაწირაკს რომ სულ  
თავ-პირი ჩავალეწო. ერთი მითხარით — ვის უბედავს ეგ ყბედი,  
რომ ლიპიანს შეძახის... გამიშვით, მეტეჟი, და! — თუხთუხებდა  
გულ-მოსული სამოვარი და მეტის სიმწარით ათას ხმაზე ქში-  
ტინი გაუდიოდა.

— დაიცა, თავ-შემოგველე, რა დროს ეგ არი, საცაა  
სტუმრები შემოვლენ. ნეტავი ჩვენ ჩვენი მოვალეობა ავასრუ-  
ლოთ, აბა მაგ სულელს რა ყურს უგდებ! — ჩუმიად ემუდარე-  
ბოდნენ ჯარივით შემომწყრივებული ქიქები და მზად იყვნენ,  
რომ უარესად გაჭირვეულებულს ზედ მიხვეოდნენ.

— ღმერთმა არ დააცალოს შენი გაცეცხლებისათვის, — ჩა-  
ბუტბუტა ცხვირ-წაშვერილმა ღ მოშორებით გამდგარმა სა-  
რძვემ და საათს ჩუმიად ქოქოლა მიიყარა.

— გაუშვით; მაგისმა მზემ, არაფერი-კი დამაკლოს.  
არა, მართლა მაგ ლიპიანს რა თავი მოაქვს, ან მაგას კული  
რაზე ეწვის, მე რომ თებრონეზე ვლაპარაკობდე. ეგ ვის ახ-  
სოვს, ვის დაჰკარგვია?

— შენ-კი ვინა ხარ, შე ცეცხლ-წასაკიდებელო, რა წერას  
აუტანიხარ, რა გინდა ჩვენგან, — უცებ მალლიდან გაწიწმატე-  
ბით გადმოსძახა ჩაიდანმა და მეტი სიმწარით აღუღებულმა  
სახურავი მოცვეცავსავით აათამაშა.

— მე ბარემ ისა ვარ, რაც უნდა ვიყო, მაგრამ თქვენ  
რომ ვერა დაინახეთ-რა! თქვენ ისიც ვერ გაგიგიათ, რომ ასე  
განუწყვეტლივ უნდა ვიმეტყველო, რადგან ვალად ეგ მიწევს,  
და ყველაფერი კარგად ვიცი, რაც მოხდა და რაც მოხდება.



ისიც ვიცი, ქალბატონო, რომ ემანდ ბევრს რომ არაყენებ, სამი დღის შემდეგ ვგ სქელი თებრო ტუჩს მოვამტვრევს და ბოლომდე, ნაქუჩ გაკეთებული, ხოროსან ხაშხაშის შესანახად სადმე ბნელ-თაროზე გამოგჭიმავენ. მაგრამ შენი დარდი ვისა აქვს, ან თქვენ ვინ გელაპარაკებოდათ! იმაზე მქონდა ლაპარაკი, რომ ეს მშვენიერი არსებანი მალე წუთი-სოფელს უნდა გამოსალმებოდნენ; მერე რა კეთილნი და მშვენიერნი არიან, ბალი მითი ხარობდა და ფრინველნი მათთვის გალობდნენ. — დაათვა საათმა, ყვავილებს დაღონებით გადახედა, და რომ თავისი ვალი შეესრულებინა, მტკიცედ განაგრძო: — ტიკ, ტაკ, ტიკ, ტაკ!.. — ვინ იცის ეს რაღას ნიშნავდა, მაგრამ საათი ამ საიდუმლოებას არაფერს არ აგებინებდა.

ყვავილები მართლა იმ წამს ელექტრონის სინათლეზე ისეთი ლამაზები და მშვენიერები იყვნენ, რომ მთელმა ოთახმა სულ სევა სახე და შნო მიიღო. ისინი ჯერ კიდევ არასაგრძობდნენ. ბინდისას, სწორედ პირველ ძილის დროს იყვნენ მოკრეფილნი და გულ-წასულნი ჯერ კიდევ გონს ვერ მოსულიყვნენ. ცივმა წყალმა და ელექტრონის ნაზმა სითბომ უწინ პირისფერი გამოაფხიზლა. მან დახრილი თავი მალლა ასწია და გაოცებით აქეთ იქით მიმოიხედა.

— ეს რა მომდის, ნეტა რას ვხედავ, სიზმარია თუ ჭკუაზე შევეცი? — წარმოსთქვა ფრიალ ნაზი ხმით პირისფერმა ყვავილმა და თან ლილის ფერი ოდნავ შეხებით გამოაფხიზლა.

— გესის, დაიავ .. გამოიღვიძე .. მიშველე რამე, რაღაც მომდის. — ლილის ფერმა ყვავილმა თვალი უმაღლ გაახილა, დახრილი თავი მალლა ასწია და ზედ დაშტერებულ ელექტრონის ლამპარს თვალი რომ მოჰკრა, შიშისგან თავ ხარი დაეცა.

— თქვენი ქირიმე, ეს რასა ნიშნავს, რა უბედურებას მოასწავებს, რომ ახლო მოსულ მზეს სითბო სრულიად გამოაღვია და ასე დაპატარავებულა? ეს ხომ ჭკვეუნის დაღუპვას



ნიშნავს... ღმერთო რა რიგ მეშინია, ენა გამიშრა, თავ-ბრუ  
 მესხმის, მიშველეთ რამე... — გაიძახოდა ათრთოლებით ლი-  
 ლის ფერი ყვავილი და სასოწარკვეთილი ხმით დანარჩენ  
 ყვავილთ გონებაში აგდებდა. მხოლოდ ყველაზე ღამაზს  
 და მთელ კონის დამამშვენებელ თეთრ ყვავილს არაფერი  
 ესმოდა. ელექტრონის სინათლეზე თავი ისე მშვენივრად  
 ჰქონდა დაბრილი, გვეგონებოდათ მოქანცულ დარაჯს  
 ყავარჯენზე ჩასთვლემია და ზედ დაუთოვიაო. ვინ იცის—  
 როდემდის იქნებოდა იმ გამოუტყვეველ მდგომარეობაში,  
 თუ რომ მშვიდს და გამოუტყვეველ მიხაკის ფერ ყვა-  
 ვილს გამოუხიზლებისათანავე ისევ გული არ წასვლოდა და  
 მთელი სიმძიმით თეთრ ყვავილს ზედ არ დაყრდნობოდა. მის  
 შეგებაზე თეთრი ყვავილი ოდნავ შეინძრა და ისევ თვალ-და-  
 ხუჭულმა წყნარი ღიმილით წარმოსთქვა:

— ჩამომეხსენი, გიჟო მზეკარავ, დღეს თითქოს გულოზედ  
 არა ვარ. ალბად წუხელის ხან-გრძლივმა ნისლია თუ შემამ-  
 ცივნა, რომ ვეღარ ვიძვრი, თორემ ადრე გაღვიძებას და მზის  
 დიდებას განა შენ დამასწრებდი? მოიკა, ცელქო, მზე ამოვი-  
 დეს, და, თუ გსურდეს მაშინ მეხუმრე; დამეხსენი, თორემ ავად  
 ვარ. — თითქოს ძილში ლაპარაკობსო, წყნარი ხმით გაიძა-  
 ხოდა თეთრი ყვავილი და თან კი სკდილობდა ღონე როგო-  
 რმე მოეკრიწა და ზეზე წამომდგარიყო. კოტა ხნის შემდეგ  
 თვალები მართლა გაახილა, ცისკენ ღიმილით აიხედა და ერთ  
 წამს შიშის გამო ისევ დადუმდა

— რა ამბავია, აქ სადა ვართ?... — ჩუმად და კრძაღვით  
 მიმართა კოტახნის შემდეგ დანარჩენ ყვავილთ და მხოლოდ  
 ახლა შენიშნა, რომ ყველა ჩუმად იმდულრებოდა.

— გესმით, მითხარით-რამე, თორემ ღამის შიშმა ჭკუი-  
 დან შემშალოს. აქ სადა ვართ, რა ამბავია ჩვენს თავსა? —  
 ეკითხებოდა შემფოთებული ყვავილი, მაგრამ პასუხს არავინ  
 აძლევდა: მის ხმაზე ყველა მიყუჩდა; სამოვარიც-კი უმაღ და

წყნარდა და ახლა შებრალების ნიშნად წვრილ ხმაზე წმუ-  
 კუნს ეოპყვა. მხოლოდ ქსაათი მტკიცედ და თანაბრად გაიძა-  
 ხოდა: ტიკ, ტაკ, ტიკ, ტაკ. ამგვარმა სიჩუმემ ყვევილი უბე-  
 ღურებას მიხვდებოდა და ერთ წამს სიმწარით წელში მოხარა.  
 ეტყობოდა, რომ თავს მაინც არ იმეტებდა და ამისათვის სა-  
 სოწარკვეთილებით კიდევ იკითხა:

— აღამიანმა მოისურვა ვანა ჩვენი მშვერით დატკობა,  
 და ჩვენს არე-მარეს იმისათვის მოგვაშორა? დეე, დასტკებს,  
 მაგრამ ჩვენ რომ აქ ვერ გავძლებთ? ახლაც სული შეკმინდე-  
 ბა, სამარესა ჰგავს ჩემთვის აქაურობა.

აქ ცოტა ხნით ისევ სიჩუმე ჩამოვარდა, რადგან პასუხის  
 გამკეში არავინ იყო და ამის გამო ყვევილი უფრო აღელვე-  
 ბამ აიტაცა:

— ჩემს არე-მარეს რომ მაშორებდა, რისთვის არ შეკითხა  
 მეც—რა ძლიერ მიყვარდა დაუსრულებელ ლურჯ ცის მშვერა;  
 თუ მას ძლიერ უყვარდი, რატომ არ შეკითხა—რა რიგ მიყვარ-  
 და მზის ალერსი და მისი ცქერა, რისთვის არ შეკითხა—რა  
 ძლიერ მიყვარდა ის წამი, შუა ღამისას, როცა სიო  
 გამაღვიძებდა და ხეებს შორის ამონათებულ დილის ცის-  
 კარზე მიჩვენებდა და თან შეკითხავდა: „აბა, შენ უფრო ლა-  
 მაზი ხარ, თუ ის ვარსკვლავი, კენწეროებიდან რომ გიცი-  
 ნისო?“ მაშ ჩვენ მონები ვართ, ზვარაკნი სხვის სიამოვნებისა?  
 მაშ ჩვენ რად გავჩნდით, ჩვენ რაღად ვგრძობდით ისე ძლიერ  
 სიყვარულს და სიხარულს მზის მშვერისაგან... აჰ, გამიშვით,  
 გარეთ გამიშვით, წყაროს მღერა კიდევ მასმინეთ, გამიშვით  
 ჩქარა, რომ ნიავმა სული ისევ დამიბრუნოს... გული მიწუხს...  
 მიშველეთ ჩქარა... ვკვდები...

აქ ყვევილს უცებ ხმა მიუსუსტდა, გული დაულონა  
 და უკვე თავ-დაბრილ სოსნის ფერ ყვევილს ზედ მიეყუდა.  
 კვდებოდა ნელა ყვევილი, მაგრამ იმ სიკვდილის ეამს ისე ლა-  
 მაზი და ნაზი იყო, რომ მისი ნახვა მართლა ყველას სიციოც-

ხლეს მოანატრებდა. სხვებიც ნელ-ნელა კვდებოდნენ. ყველაზე გვიან-კი წითელმა ყვავილმა დაჰკარგა გონება. იმ დროს, როცა გარშემო ყველას სული გაენაბათ, მან უკანასკნელად თავი ოდნავ ასწია და ლოცვის მზგავსად წარმო-სთქვა:

— ნეტა ყველა ჩვენს ბედში მყოფი, თავის მიწა წყალს მოშორებული, ასევე მალე იღუპება, როგორც ჩვენ?... აჰ... ჩვენო,.. წყარო, ჩვენო ბალო... მადლობა უფალს; რომ მალე ვკვდებით... ჩვენო, ჩვენო ..

ეს იყო და ეს; ამის მეტი ველარაფერი ველარ აღმოს-თქვა, გათავდა მისი ცხოვრებაც და მისი გულის თქმაც...

ამ დროს ოთახი სტუმრებით გაივსო, ასტყდა სკამების რახა-რუხი, სიცილ-კასკასი. ზოგი ერთნი-კი ყვავილებს შემოე-ხვივნენ და ალტაცებით გაიძახოდნენ: „აჰ, რა მშვენიერებაა— რა ლამაზები არიანო“. ის-კი აღარ იცოდნენ, არ გაჰხენე-ბიათ, რომ სწორედ ადამიანების სიამე და ალტაცება იყო მი-ზეზი ყვავილების დაღუპვისა.

ცკვიტი.





## მობილავი.

(მოთხრობა).

### I



ზარმავარი დარბაზია, შალაღი, სინათლი-  
ანი. იატაკი ასფალტითაა მოფენილი.  
აქა-იქ სავარჯიშო იარაღია დილაგებული.  
მათზე ჯგუფებად დაყოფილი ახალგაზრ-  
დები, შევარდნების ტანსაცმელებში, ვარ-  
ჯიშობენ უჩუპრად, გულ-მოდგინებით,  
თითქოს მღვდელ-მოქმედობენო. ვარჯი-  
შობა გახურებულია: ზოგი, გამოცდილი,  
„შხეს“ აკეთებს; გამოუცდელები-კი ვერა-  
ძღებიან ამ დიადი სანახაობით და შურის  
თვალით უცქერიან ბედნიერებს; ზოგი კიდევ, ახლად შემო-  
სული, ბეჯითად ხტუნაობს ხრდალზე: იზნიქება ზურგში,  
რაც ძალია და ღონე აქვს, და ბედნიერია, თუ დამსახურა  
ხელმძღვანელის ქება-გამხნევება. საითაც-კი მიიხედავ, ყველ-  
გან გაკვირებული კუნთები მოსჩანს; შეგვიძლია გაიფიქრო, რომ

ეს კუნთების სამულობელოა; ადამიანი როდი თამაშობს; თამაშობს მისი კუნთები ხელ-ფეხში.

კულაც აქაა. სრული ორი წელიწადია სწორედ, რაც სწავლაზე გულ-აკრუებულმა, თერამეტი წლის კულამ მიანება თავი სასწავლებელს და მუშაობს შევარდნთა საზოგადოებაში, სადაც უნდა შეიძინოს ლომის ძალა და შევარდნის სიმარჯვე. ცალკე კიდევ სწავლობს ფრანგულ კიდაობის ფანდებს, რათა სცადოს თავისი ძალა, გაითქვას დიდი სახელი, როგორც მოკიდავემ, და ამ სახელით მოიაროს მთელი ქვეყანა. ასეთი მომავალი კულასთვის ექვს გარეშეა. ოცნებით გატაცებულ კულას კიდევ მოესმის ხოლმე ტაშის ცემა, მისი გამარჯვებით გამოწვეული; მოეჩვენება მრავალი ჯილდო, რომლითაც მთლად მოთენილია მისი გული.

## 11

ცირკში გუგუნნი დგას. ხალხი ღელავს სანატრელ კიდაობის მოლოდინში. კულისებში-კი სიჩუმეა; მოკიდავის მღელვარება გულშია ჩამარხული. აქ ნახავთ თქვენ მსუბუქწონიან მოკიდავესაც, მძიმესაც; ისეთსაც, ვისაც მთელი დედა-მიწის ტაშის ცემა მიუღია ჯილდოდ; ისეთსაც, რომელსაც არა ერთხელ უბეზია ორივე ბეჭით ცირკის ასპარეზის ნიადავი; ისეთსაც, რომელსაც, დამჭირავებლის სურვილის თანახმად, ბევრჯელ უყალბნია საზოგადოების წინაშე; ხან უშედეგოდ უკიდავნია, ხან კიდევ განგებ დამარცხებულა.

ყველა ეს თუმცა კულასთვის უცხოა, მაინც საკმაოდ ღელავს იგი: დღეს კულა პირველად სცდის თავის ძალახ კიდაობაში; დღეს უნდა იგემოს ორი წლის ტანჯვის ნაყოფი; დღეს უნდა გადასწყდეს მისი ყოფნა-არყოფნის საკითხი.

## III

ზინდი დიდიხანია დაეშვა შვე სუდრად დედა-შიწაზე-  
დლისით გამოძინებული ლამურეები დიდი ხანია გამოვიდნენ-  
ლამის შეხრებულად. ბუ მოთმინებით გაიძახის თავის ერთად-ერთ  
აბეჯარ სიმღერას. მშრომელი ადამიანი მისცემია ტკბილ მო-  
სვენებას.

კულას არ სძინავს. ბარემ კარგი იქნებოდა, რომ დას-  
ძინებოდა, მოესვენა მის წამებულ სულსა, მაგრამ აი ორი  
დღეა ძილი არ ეკარება მის ქუთუთოებს: ორი დღის წინად  
მოხდა მისი მარცხი; ხელის ჩამორთმევაც ვერ მოასწრო კუ-  
ლამ ხეირიანად, როდესაც უკვე მოცილეს მოჰყვა ქვეშ და-  
ორივე ბეჭით ხეხავდა ასპარეზის წიდადგს; ბრბოს ხარხარს  
ბოლო არ ჰქონდა: ერთმა თამაშმა მასხარადაც-კი აიგდო!

— ააყენეთ მალე, ააყენეთ ეგ ბავშვი, თორემ ტირილს  
დაიწყებს!

ეს სიტყვები და მარცხის სურათი არა ჰშორდება კუ-  
ლას. სადღაა ოცნება მომავალ დიდებაზე! თავმოყვარეობა  
ხომ სამუდამოდ გალახულია უღმობელ ბრბოს მიერ ჩქარ-  
გასამართლებით. მაშ სად არის სიმშვიდე და ბედნიერება?

დავ. კილოხანიძე





# ტოროლა.

(სადა ლექსი).



ოროლა ვიხილე...

სვაე-ძერებთან უთანასწორო ბრძოლაში  
ფრთები დამსხვრეოდა...

ქვა-ლორღზე საცოდავად ჰფორთხავდა...

ცის სივრცეში შენაფარდებას ლაშობდა,  
მაგრამ ვერ ახერხებდა...

ძალია ლაღატობდა...

აღმოსავლეთი-კი ვარდისფერი ლაღადით თვისკენ იწვევდა  
ტოროლას.

საბრალო ტოროლა!

ამაოდ შლიდა დამსხვრეულ ფრთებსა...

ჯავრისაგან მწარედ იწრებებოდა...

ნატრობდა სიკვდილს მწუხარში გაღესვას, ოღონდ ასეთი  
საპყრობა დიდხანს არ გაგრძელებულიყო...

აბა რა ფასი აქვს სიცოცხლეს უმზეოს, უხალისოს, უსიხა-  
რულოს!

უყურებდი ტოროლასა და მეც ვნაღვლიანდებოდი...

მისი დაღრეჯილობა მეც მიძენძავდა გულს.



— ფტ... ფრრრბ... — ფრატუნით ჩამოგვიფრინა ლამუქნი  
უსიამოვნო წრბინით წანგრევეში მიიძალა...

უჯიშო!..

უბადრუკი..

განგებას ფრთები მიუმადლნია, და იგი ვრ არა სარგებლობს...  
არ დანავარდობს ფირუს ტალღებში...

მიკოტივით ერიდება სხივიერებს..

გაპარტახებულ შენობებში აღაშებს დღეებს.

რატომ, რატომ ტოროლას არა აქვს ფრთები, რომ ცის  
ერლოსკენ გაჰკრას კამარა.

სხივ-მოიფეფ მზეს შეუთხზას სავალობელი.

ჰა, როდის, როდის დაეზრდება ფრთები ტოროლას...

ნეტავი როდის!

**დ. თურდოსპირელი.**







## საოცარი ვაჭლი.

(ხალობური).



ყო და არა იყო რა—იყო ერთი მეფე. შვილი არ უჩნდებოდა და დიდად სწყუხდა. ყველგან თავის საბძანებელში გავზავნა ნაზირ-ვეზირნი, რათა წამალი ეშოვათ, რომ შვილი მისცემოდა; მაგრამ ამოდ.

ასე მიდიოდა დრო.

ერთ დღეს მეფესთან წარსდგა ჯიქარის ქატი და მოახსენა:

— აღიღოს ღმერთმა მეფობა თქვენნი, და ერთ საოცარ ამბავს მოვახსენებთ: ვილაც შიშველი ქატი გორავს თოვლში და გაიძახის—დავიწვი სიციხისგანაო.

მაშინვე ბრძანა მეფემ: მომიყვანეთ ის საოცარი ადამიანიო.

მეფის ბძანება მსწრაფლ შესრულებულ იქმნა. მეფემ იფიქრა—იქნება იმან იკადეს შვილოსნობის წამალიო და ღმობიერად მოექცა.

— შენ არ იცი ისეთი რამ წამალი, რომ შვილი მეყოლოს?—ჰკითხა მეფემ საოცარ კაცს.

— ამაზე ადვილი რა არის, შე დალოცვილო,—მიუგო მან:—შენ სასახლის ბაღში ვაშლის ხე ამაღამ ორ ვაშლს გა-

მოიბაძს. შუალამისას უნდა გახვიდე ჩუმად და ხეზე ისე უნდა ახვიდე, რომ, მაღლა არ შეიხედო; უნდა მოსწყვიტო ვაშლი. ნახევარი იქვე მიირთვა, ნახევარი დედოფალს მიართვა, და ცხრა თვეზე გეყოლებათ ვაჭი.

მეფემ, იფიქრა—გიჟია ვილაცა, ან არა და მასხარად მიგდებსო:—ამ ცივ ზამთარში ვაშლმა როგორ უნდა გამოიღოს ნაყოფიო. მაშინვე ბძანა დაეტუსალებინათ ეს კაცი და, თუ მტრთალი არ გამოდგებოდა მისი ნათქვამი, სიკვდილით დაესჯათ.

შუალამე რომ დადგა, მეფე ჩუმად ჩავიდა ბაღში დ ძლიერ გაოცდა, როცა დაინახა ხეზე ორი საოცარი ვაშლი. საჩქაროდ ავიდა ხეზე და წაატანა ხელი ვაშლებს; მაგრამ ერთი ვაშლი მოსწყდა და ხელიდან გაუვარდა, მდინარეში ჩავარდა და წყალმა წაიღო. მეორე-კი მოსწყვიტა და ნახევარი დედოფალს მიართვა, ნახევარი თვითონ შეკვამა. მეორე დღეს დასახუქრა ის საოცარი ადამიანი და გაისტუმრა.

მართლაც დაორსულდა დედოფალი და ცხრა თვეზე გაუჩნდათ ვაჭი, ისეთი ლამაზი, რომ მისი ბადალი ქვეყანაზე არ მოიპოვებოდა.

მდინარემ რომ ვაშლი წაიღო, წისქვილის ლარში ვაჩხირა და წყალმა ზევით დაიწყო დენა. წისქვილი დადგა. მეწისქვილეც ძლიერ გაოცდა. ჰხედავს—ერთი მშვენიერი ვაშლი გაჩხირულა ისეთი, რომ მისი მზგავსი სიციოცხლეში არ ენახა. ეს მეწისქვილეც უშვილო იყო. იმასაც მიეცა ვაჭი. იგი შეფის შვილივით ლამაზი არ იყო, მაგრამ, სამაგიეროდ, ისეთი ლონიერი იყო, რომ მისი ბადალი არ მოიპოვებოდა დედამიწის ზურგზე. ვინც წლით იზრდებოდა, ის დლით. სამის წლისა რომ გახდა, მამას ერეოდა, დიდრონ ხეებს გლეჯავდა. ნად, მთელ ქვეყანაზე სახელი გაითქვა.

მეფის ყურამდის მიაღწია ამბავმა, რომ მეწისქვილის შვილი იმ ვაშლის მეოხებით იყო გაჩენილი. მეფემ დაიბარა ყმაწვილი და თავის შვილთან ათამაშა.

მეფის შვილი ძალიან ლამაზი იყო, მაგრამ, ერთობ სუსტი. მეწისქვილის შვილი შავგვრემანი იყო და ლონიერი. ამიტომ მეფის შვილს დაარქვეს სახელად ვაშლაღამაზა, მეწისქვილის შვილს-კი—ვაშლაშავი.

ერთ დღეს ვაშლაღამაზა და ვაშლაშავი ერთად თამაშობდნენ ველზე. შორიდან მოჰკრეს თვალი გზაზე დედაკაცს, რომელსაც წყლით სავსე კოკა მიჰქონდა.

— აბა, უყურე: ისარით ჩამოვამტვრევ მხარზე კოკას, — სიტყვა ვაშლაშავმა.

— დეხსენ, ცოდვია, — მიუგო ვაშლაღამაზამ. მაგრამ ვაშლაშავმა არ დაიშალა. გაჰკრა ისარი და ქალს მხარზე კოკა ჩამოამტვრია. გამწარებული დედაკაცი მიუბრუნდა ბავშვებს.

— დაგწყევლო — როგორ დაგწყევლო: დედის ერთა ხარ, — უთხრა მან მეფის შვილს, რადგან ისრის მსროლელი იგი ეგონა: — შენამც ჩავკარდნია გულში სიყვარული ცხრა ძმის დისა, რომელიც მზესავით ანათებს.

ქაბუკებს საცინლადაც არ ეყოთ, არათრად ჩაადგეს ქალის სიტყვები და ისევ განაგრძობდნენ თამაშობას.

გავიდა ხანი, და მეფის შვილს შეეცვალა გუნება. მწარედ დაღონდა: აღარც იკინოდა, აღარც სათამაშოდ გამოდიოდა, აღარც საასპარეზოდა. რაღაც უზილაგმა შეზნელმა ძალამ შეიპყრო. ბოლოს ისე დაჯავრიანდა, რომ მთელი ქვეყნის ეჭიმები გარშემოებვიდნენ, მაგრამ ვერაფერს შეელოდნენ, ვერ უამბოდნენ მწარე ტკივილებს. ძლიერ შეწუხდა მეფე, არ იცოდა რა ექნა, ვისთვის მიემართნა: არაფერი წაშალი არ შეელოდა ვაშლაღამაზას.

დაიბარა მეფემ ვაშლაშავი და გამოჰკითხა მთელი ამბავი. მაშინ-კი ცხადად მიხვდა მეფე, რომ ვაშლაღამაზას გულში ჩავკარდნოდა ჯერეთ უზილაგი ქალის სიყვარული. მაშინათვე ბძანება გასცა მეფემ და შეჰყარა ურიცხვი ჯარი; გაატანა ურიცხვი ქონება; ჯარის უფროსად დანიშნა ვაშლაშავი,

როგორც უძლიერესი კაცი, და გაისტუმრა თავის შვილიანს ერთად ცხრა ძმის დის საძებნელად.

დიდ ხანს იარეს მათ; ბევრი მთა და ბარი გადაიარეს, ბევრი ქვეყანა ნახეს, მაგრამ ამაოდ: ამბის მთქმელიც ვერ იპოვეს. მთლად ამოწყდა ჯარი და მხოლოდ ორი კაცი-ღა დარჩა, ისინიც — სნეულ-დაუძლურებულნი: ერთი — კოჭლი და ერთი — ბრმა. მიუბრუნდა იმათ ვაშლაშავი და უთხრა წასულიყვნენ მეფესთან, ეამბნათ ყველაფერი, რაც გადახდათ თავზე. ჩვენ-კი, ვიდრე კოცხლები ვართ, ვივლით და კიდევ სამს წლამდის გველოდნენ. თუ ვერ დავბრუნდით, უთუოდ მკვდრები ვიქნებით.

ვაშლალამაზმა და ვაშლაშავმა განაგრძეს გზა, კიდევ ბევრი მთა და ველო გადაიარეს და მიადგნენ ერთ მშვენიერ სასახლეს. — თუ ის ქალი აქ არ არის, შერცხვენილი ვიყო, — სთქვა ვაშლაშავმა. ამ ლაპარაკში რომ იყვნენ, ფანჯარა გაიღო და გადმოხედა ერთმა მზეთ-უნახავმა ქალმა და ვაშლალამაზზე დარჩა თვალი. ვაშლაშავმა მუკლუგონი წაპკრა ვაშლალამაზს, მაგრამ იგი გაშტერებული უყურებდა ქალს.

— ვინა ხართ, რისთვის მოსულხართ? — გადმოსძახა ზევიდან ქალმა: — თქვენ არ იცით, რომ ჩემი ძმების შიშით არავის არ შეუძლია ამ სახლს ახლოს გაეკაროს?

— ჩვენ სწორედ შენი გულისთვის მოვსულვართ, — უთხრა ვაშლაშავმა და არც შენი ძმებისა გვეშინია.

— აბა გადადი ფანჯრიდან, — უთხრა ვაშლაშავმა მეფის შვილს. — როგორც ეტყობა, შენც ძალიან მოეწონე იმ ქალს.

მეფის შვილი მაშინათვე კედელზე აცოცდა ო ფანჯარაში შევიდა.

— ძალიან მომეწონე, თორემ თავს მოგჭრიდი ამ კედნიერებისათვის, — უთხრა ქალმა. — რადგანაც შემიყვარდი, გამოგყვები. ცოლად. სადამოთი მოვლენ ჩემი ძმები. რასაც გეტყვიან, თუ შეასრულებ, მოგცემენ ჩემს თავს, თუ ვერა და —



თავს მოგპრიან. პირველად მოგიტანენ სანთლის ცულს და რკინის შეშას. სანთლის ცულით რკინის შეშა უნდა ლუკმა-ლუკმად აქციო. გამოიძრო — ქალმა ერთი ბეწვი თმა და მისცა მეფის შვილს. — რაწამს ცული მოგაწოდონ, ეს ბეწვი პირზე გადააქარ და მაშინვე ლუკმა-ლუკმად იქცევა შეშაო. მერე აქ სასახლეში ერთი ალვის ზეა, ლიტაო, ისეთი მალალი, რომ თვალი ვერ შესწვდება. ამ ხის წვერიდან ჩანს მთელი ქვეყნი-ერება. ამ ხეზე უნდა აკურდე, ისე, რომ თავზე ჯამით სავსე წყალი აიტანო და ერთი წვეთი არ დააქციო.

გამოიძრო ქალმა ბეჭედი და უთხრა: — ეს ბეჭედი ჯამში ჩააგდე, და ისე გაიყინება, რომ, თუ ჯამი არ გადმოაგდე, წვეთი არ გადმოვარდება.

— მესამედ მოგიტანენ რკინის ბურთს და ერთ ქვებს. ისე უნდა მოუჭირო ხელი ბურთს, რომ წყალი გადმოადინო და ქვები აავსო. ამისი წამალი-კი არაფერი ვიცი.

მეფის შვილი გადმოვიდა ფანჯრიდან და უამბო ვაშლა-შავს ყველაფერი.

— ნურაფრის ნუ გეშინიან: ვეცდები, და იქნება წყლის გამოდენა ბურთიდან მე შემხედეს; მაშინ მე ვიცი, — უთხრა ვაშლაშავმა.

სალამოს დაბრუნდნენ ცბრა ძმანი ნადირობიდან. ზოგს ირემი მოჰქონდა, ზოგს ძირიანად მოგლეჯილი წიფლის ხე შეშად, ზოგს მოკლეული ლომი და ვეფხვი და სხვა მრავალი ნადირი. მოვიდნენ თუ არა თავიანთ სასახლეში, სტუმრები, ვაშლალამაზა და ვაშლაშავა მოიპატივეს და კარგი ღროება გაატარეს იმ ღამეს.

— უსაქმოდ არ იქნებით მოსული, — უთხრა უფროსმა ძმამ ვახშმის შემდეგ სტუმრებს.

— რასაკვირველია არა, — მიუგო ვაშლაშავმა; — ჩვენ შორიდან მოვსულვართ, თქვენი დის სათხოვნელად ამ ვაშლა-ლამაზასთვის. თუ ნებით არ დაგვანებეთ, მაშინ, იცოდეთ, ძალით წავიყვანთ.

— ეგ ძალიან კეთილი, — სთქვა უფროსმა ძმამ, — მაგრამ ჩვენ სხვანაირი წესი გვაქვს: თუ აასრულებთ, დიდი სიამოვნებით მოგცემთ ჩვენ დას, და, თუ ვერ აასრულებთ, თავებს დაგჭირთ. მაშინ შეგიძლიათ იხმაროთ ძალა.

— ჯერ ჩვენ ვეცდებით, რომ ავასრულოთ თქვენი წესი, და, თუ სხვანაირად დაგვიტრიალდა ბედი, მაშინ ჩვენ თავს მოუვლით, — სთქვა გაჯაერებით ვაშლაშავემა.

იმ ღამეს, კარგი ქეიფის შემდეგ, ტკბილ ძილს მიეცნენ და ყველანი გულის ფანჯრალით ელოდნენ გათენებას.

გათენდა დილა თუ არა, ადგნენ ყველანი და გამოვიდნენ სასახლის ეზოში. აქ მეფის შვილს მოუტანეს რკინის შეშა და სანთლის ცული. — აი, ეს არის ჩვენი წესი, — უთხრეს სტუმრებს: — სამ რამეს თუ აასრულებთ, მაშინ ნება გექნებათ წაიყვანოთ ჩვენი და.

— ჰირველი გახლავთ ის, რომ ამ სანთლის ცულით უნდა დაჩეხოთ ეს რკინის შეშა. შეორე — საცხე თასით წყალი უნდა აიტანოთ ამ ხეზე, — ისე, რომ წვეთი არ გადმოვარდეს, და მესამე კიდევ — ამ რკინის ბურთიდან იმდენი წყალი უნდა გამოადინოთ, რომ ეს ქვაბი აივსოს.

ვაშლაღამეზამ იდუმალ გადააკრა ცულს ქალის თმა და დაქრა შეშას: ერთ დარტყმაზე რკინა ლუკმა-ლუკმად იტყა. ძლიერ გაუკვირდათ ძმებს. მოუტანეს წყლით საცხე თასი. ამაშიაც იდუმალ ჩააგდო ბეჭედი და ძალზე გაიყინა წყალი. მეფის შვილი ავიდა ხეზე და იქიდან გამოჩნდა მთელი ქვეყნიერება. დაინახა მან თავისი სახელმწიფო, თავისი სასახლე, სადც მეფე-დედოფალი, შავის ძაძვებით შემოსილნი, გლოვობდნენ. თავიანთ ერთადერთ შვილს. ცრემლები მოერიო და ძირს ლაპა-ლუპით ჩამოცვივდა.

— მორჩა, მორჩა!.. — დაიძახეს ცხრა ძმათ.

— რა მორჩა, რა გაღრიალებთ? — დასქყვილა ვაშლაშავემა. ჩამოვიდა ვაშლაღამეზაც.

— დაგელვარა წყალი? — შეეკითხა ვაშლაშავა...

— ერთი წვეთიც არ გადმოვარდნილა თასიდან. ჩემი ქვეყანა დავინახე, და ცრემლები მომერია.

მაგრამ ცხრა ძმანი მაინც ჩხუბობდნენ.

— მაგრე რომ ყვირით, მოდით გასინჯეთ, განა ვერ გამოიცნობთ — ცრემლია თუ წყალი, — შეპყვირა ვაშლაშავმა: — ცრემლი ხომ მლაშეა.

შელოცეს. მართლაც, მლაშე აღმოჩნდა.

— დაიცათ, დაიცათ? ერთი ეგ რომ ბევრს ლაპარაკობს, — მაგან უნდა მოუჭიროს ხელი ბურთს! — დაიძახეს ძმებმა. ვაშლაშავსაც ეს უნდოდა; სტაცა ხელი ბურთს და ისე მოუჭირა, რომ მთელ სასახლეს ხანზარი გაჰქონდა. რაღას იზამდნენ — უნდა მიეცათ თავიანთი და. ნებით რომ არ დაეთმოთ, ძალიად წაიყვანდა ვაშლაშავი. — ჩააბარეს თავიანთი და მეფის შვილს, დალოცეს ყველანი და ხელი მიჰყვეს ქეიფს.

მეორე დღეს დანიშნულნი დასტოვეს სახლში და ცხრა ძმა და ვაშლაშავი წავიდნენ სანადიროდ.

ქალმა მეფის შვილს დაატარა სასახლე, უჩვენა თავისი ძმების მონაგარი, აჩვენა სამას სამოცი ოთახი, სავსე ძვირფასი თვალ-მარგალიტები. მხოლოდ არ უჩვენა ერთი ოთახი, რკინის კარებით დაკეტილი. ვაშლაშავსას ძალიან ეწყინა: რატომ არ მაჩვენა, ალბად არ მენდობაო. ვაშლაშავმა შენიშნა, რომ ქალს თმაში ჩატანებული ჰქონდა გასაღები. — სწორედ ეს გასაღები იმ ოთახისა იქნება, — იფიქრა მან დილი მოიგონა. ქალიც დაწვა დასაძინებლად. როცა ნახა მეფის შვილმა, რომ ქალს მაგრად ეძინა, სიფრთხილით ამოართვა თმიდან გასაღები და გაემართა საიდუმლო ოთახისკენ.

კარგა ხნის წვალების შემდეგ, გააღო კარი და დაინახა რთი საშინელი და საზარელი ქაჯი, ჯაჭვებით დაბმული. როცა ექაჯმა აღამიანი დაინახა, გაიწ-გამოიწია, დაწყვიტა ჯაჭვები, ესე ვაშლაშავსას, დაახეთქა მიწაზე და ზედ დაადო

რკინის კარები; მძინარე ქალს-კი მოხვია ხელები და გაიტაცა, ვინ იცის საით.

ვაშლაშავი და ცხრა ძმანი ნადირობდნენ.—ვაშლაშავის ძალამ და სიმახაცემ გააოცა ცხრა ძმანი: რასაც ისინი ხოცდნენ, მათზე მეტს ვაშლაშავი ხოცდა. გადადიოდნენ ველიდან ველზე. უეცრად ერთი საოცარი ქურციკი გამოჩნდა. დააყარეს შვილდისარი წვიმასავით, მაგრამ ვერც ერთმა ვერ მოართვა. ძლიერ იწყინა ვაშლაშავმა და ერთი ნახტომით დაიჭირა ქურციკი. ქურციკის დაჭერა და ვაშლაშავის უეცრად დაღონება ერთი იყო.

—ჩქარა წავიდეთ შინ!—დაიძახა მან განწირულებით:—რაღაც კუდი ამბავია ჩვენს თავს.

მაშინვე, გულ გახეთქილები გაეშურნენ შინისკენ, შემოირბინეს სასახლე და ვერც ქალი და ველარც ვაფი ვერ იპოვნეს. იქით ეცნენ, აქეთ ეცნენ და ძლივს მიაგნეს ვაშლაშავს, რომელიც სიკვდილად მიწურული ძლივს ლა ჰფეთქავდა უზარმაზარ რკინის კარების ქვეშ. ვაშლაშავმა შორს გადააგდო რკინის კარები და როგორც იყო მოასულიერა ამხანავი.

—ეს რა ამბავია?—დაიძახა ვაშლაშავმა.

ცხრა ძმათ წაიშინეს თავში და აღარ იცოდნენ—რა ექნათ.

—ვაი ჩვენს დაღუპვას: ველარც ერთი ველარ გადავრჩებით კოცხალი!—ტირილით მოსთქვამდნენ ისინი.

როცა ვაშლაშავმა გაიგო, რაში იყო საქმე, ძალიან ეწყინა და საყვედურით მიმართა ცხრა ძმას:—თქვე წყეულებო, თუ ასეთი ხაშიში რამე გყავდათ სახლში, რატომ არ მაყოლინეთო, რომ მუსრი გაგაელოთ ახლა ყველას?!

დაფიქრდა ვაშლაშავი და ბოლოს უთხრა ცხრა ძმათ:—ახლა რაღა იქნება.—წასულ საქმეს აღარაფერი ეშველება, რაც მოხდა-მოხდა. თქვენ გაბარებთ ამ მეფის შვილს: თქვენ



იკით, როგორც მოუვლით და შეინახავთ. წავალ იმ წყეულის  
 საძებნელად და ვეცდები დავიხსნა თქვენი და. სამ წელიწადს გა-  
 ძლევთ ვადას: თუ მოვედი ცოცხალი — ხომ კარგი, თუ არა  
 და, იცოდეთ — მკვდარი ვიქნები. ამის მეტს არაფერს გთხოვთ:  
 ჩააბარეთ ეს მეფის შვილი თავის მშობლებს უვნებლად, — წა-  
 იყვანეთ თავის სამშობლოში.

გამოემშვიდობა ყველას; გადაჰკოცნა თავისი ძმობილი  
 ვაშლაღამაზა და გაუდგა გზას.

მიდიოდა ვაშლაშავი და თითონაც არ იცოდა სად —  
 მოენახა წყეული ქაჯი და ქალი. ამ სიარულში შემოეყა-  
 რა წინ ერთი დიაკვანი და გაუდგნენ ერთად გზას. კიდევ  
 ბევრი იარეს, და ახლა შემოეყარათ მნათე. მიდიოდნენ სამ-  
 ნი. კარგა რომ დაიღალნენ, ერთ უზარმაზარ ნაციხართან  
 დიდი ხის გრილოში შეისვენეს. ნახა ვაშლაშავმა — ერთი  
 ირემი მორბოდა დამფრთხალი; ალბად მონადირეებს გამოე-  
 ტყეოდა. ჰკრა ისარი და მოკლა.

— აბა შენ სადილი მოგვიმზადე, და ჩვენ სანადიროდ წა-  
 ვალთ, — უთხრა მნათეს ვაშლაშავმა. — დიაკვანი და ვაშლა-  
 შავი წავიდნენ სანადიროდ მნათე შეუდგა სადილის მზადე-  
 ბას. კერძი რომ მოამზადა, უეცრად ნახა — ციხიდან ერთი სა-  
 ზარელი და საძაგელი ქაჯი ამოვიდა და დაუძახა მნათეს: — ჩა-  
 მიყარე პირში ჩქარა რაცა გაქვს, თორემ მორჩა შენი სიცო-  
 ცხლეო! მნათემ რომ შეხედა, კინალამ სული გაეპარა და კან-  
 კალით ჩაუყარა პირში ნაშხალი.

მოვიდნენ ნადირობიდან ვაშლაშავი და დიაკვანი და,  
 რაკი არაფერი დაუხვდათ, საყვედური უთხრეს ამხანაგს.

— რა ვქნა, თქვენი ჭირიზე, — სთქვა მნათემ — დამძინებოდაო.

შეორე დღეს ვაშლაშავმა დასტოვა დიაკვანი და მნათე  
 თან წაიყვანა. როცა მოამზადა საჭმელი დიაკვანმა, ნახა —  
 ამოჰყო თავი ქაჯმა და დაუძახა: — აბა შენის ნებით ჩამიყარე  
 პირში ყველაფერი, თორემ ცოცხალი ვერ გადამიჩნებია!

ცახცახით და კანკალით მიიტანა დიაკვანმა და ჩაუყარა ქაჯს პირში საჭმელი. ქაჯი დაბლა ციხეში ჩავიდა; ფერ-წასული დიაკვანი-კი ისევ ცახცახებდა შიშისგან.

— გუშინ მნათესაც სწორედ ეს ოინი მოსვლია, — სთქვა დიაკვანმა; — და რადგან იმან არა სთქვა-რა — მლარცარას მე ვიტყვი.

მოვიდნენ ნადირობიდან ვაშლაშავი და მნათე, და გუშინდელივით არაფერი დაუხვდათ.

მეორე დღეს სანადიროდ წავიდნენ დიაკვანი და მნათე; ვაშლაშავი კი შეუდგა საჭმლის მზადებას! შუა დღე რომ მოახლოვდა, ნახა — ციხიდან თავი ამოჰყო საზარელმა ქაჯმა და დაუძახა: — ჩამიყარე ჩქარა პირში ყველაფერიო! მაშინ მიხვდა ვაშლაშავი, რომ მნათე და დიაკვანი ატყუებდნენ მას; ისიც გაიგო, რომ ქალი უსათუოდ ამ ციხეში ცოლებოდა ქაჯს. ვითომ არც-კი გაიგო ქაჯის სიტყვები. — ჩამიყარე მეთქი პირში საჭმელი! — ისევ დაჰქუბა ქაჯმა და პირიდან ცეცხლის ყრა დაიწყო. — ვაშლაშავმა კიდევ ხმა არ გასცა. უნდოდა ციხიდან ამოეყუებინა და თან შეიღდისარი მოიმარჯვა. შენც თუ არ გაგათავე, ისე ჰქვას ვერ ისწავლი! — დაიღრიალა ქაჯმა და ციხიდან ამოვიდა. ვაშლაშავმა შეიღდს ისარი აუგო და მოსწია ისე ძლიერად, რომ გოზა გოზას მიაკრა, და ქაჯს შესტყორცნა. ისარი ფერდში ეცა და იქით გაეარდა. გამწარებულმა ქაჯმა სტაცა ხელი ვაშლაშავს და უნდოდა შუაზე გაეგლიჯა, მაგრამ ვაშლაშავმა ისე მძლავრად დასცა დაბლა, რომ დედამიწა შეინძრა. ქაჯს სული შეუგუბდა. კრილობიდან სისხლმა დენა დაუწყო და ღრიალით განერთხო დედამიწაზე. ვაშლაშავმა მაშინვე ხანჯალზე იტაცა ხელი და ქაჯს თავი მოსჭრა.

როცა დიაკვანი და მნათე სანადიროდ წავიდნენ, ერთმანეთს უამბეს თავიანთი თავგადასავალი — ვიღით — ვაშლაშავი ჩვენსავით არ დაუთმობს კერძს ქაჯს და მოჰკლავს, — სთქვეს

იმით.—უმჯობესი იქნება ჩვენ გზაზე წავიდეთ. მერე გადასწყვიტეს დაბრუნებულიყვნენ და ენახათ—მკვდარი იქნებოდა ქაჯი თუ ცოცხალი.

როცა დაბრუნდნენ და ნახეს ქაჯი, ლუკმა-ლუკმა აკუწული, ძლიერ გაოცდნენ და გამარჯვება მიულოცეს ამხანაგს.

— აბა, ძმებო, — სთქვა ვაშლაშავემა: დაყოვნების დრო აღარ არის. რასაც ვეძებდი—ვიპოვე. მგონი. მე ციხეში უნდა ჩამიშვათ თოკით. მაშინათვე მნათემ და დიაკვანმა ვაშლაშავეს მოაბეს წელზე თოკი და ჩაუშვეს ციხეში. აქ ნახა ვაშლაშავემა ერთ გამოჭვებულში ქალი, ფერ-წასული და სიკვდილად მიწურული. ქალმა რომ დაინახა ვაშლაშავე, სიხარულით ცას დაეწია. დაძმურად გადაეხვივნენ ერთმანეთს.

— აბა ახლა აღარაფრის შიში აღარ გვაქვს, — უთხრა ვაშლაშავემა: — საშიში მტერი — ქაჯი — მოვკალი. მოიბი წელზე თოკი: ავიდეთ შალა.

— სჯობია ისევ პირველად შენ ახვიდე, — უთხრა ქალმა.

— არა, როგორ შეიძლება, შენ უნდა ახვიდე, — უთხრა ვაშლაშავემა.

— არა, ჯერ შენ ადი, — ეხვეწებოდა ქალი. — მაგრამ ვაშლაშავეი ძალას ატანდა ჯერ ქალი ასულიყო. ქალმაც ველარაფერი ველარ უთხრა ხათრით, და აიყვანეს შალა. მნათემ და დიაკვანმა რომ დაინახეს ასეთი მშვენიერი მზისა დარი ქალი, თოკი შეაქრეს. გაანებეს თავი ვაშლაშავეს ციხეში და წამოიყვანეს მზეთუნახავი: ქალი ძალზე ტიროდა და იმდულრებოდა. რომ ველარაფერს ვახდა, შეეხვეწა: ერთი სიტყვა მაინც მათქმევინეთ, და მერე თქვენი ნება იყოს: საითაც გინდოდეთ — იქით წამიყვანეთო.

როგორც იყო, ხვეწნისა და მუდარის შემდეგ, მისცეს ნება: ქალმა ერთი ხელსახოცი ჩაუგდო ციხეში ვაშლაშავეს და ჩასძახა: — ხომ გითხარი — გილალატეს მეთქი. სამი თხა გამოირ-

ბენს შენკენ—თეთრი, წითელი ღ შავი. თუ ეს ხელსახოცი თეთრს მოარტყი—ზვევით ამოგაგდებს; თუ წითელს მოარტყი—ნაპირამდის მოგიყვანს, და თუ შავს—ქვესკნელში წაბვალ.

ქალი წაიყვანეს მნათემა და ღიაკვანმა.

ვაშლაშავი, მწარედ დაღონებული და ჩაფიქრებული, იდგა მდუმარედ: სწუხდა, რომ უღალატეს მზანაგებმა და არ დაიჯერა ქალის სიტყვები. ნახა—უეცრივ გამოიბრინა თეთრმა თხამ. ესროლა ხელსახოცი, მაგრამ ვერ მოარტყა. გამოიბრინა წითელმა, მაგრამ ვერც მას მოარტყა. გამოიბრინა შავმა, და ამას კი გაჯაერებული ისე სტაცა ხელი, რომ თითქმის ფერდი გამოაგლიჯა და მაშინვე ტრაილით ქვესკნელში წავიდა.

კ. დარაშვილი.

(დასასრული იქნება).





# დილის სიომ.



აკრთა მთებზე, გაიელვა  
ფრთა-წითელმა გარიერაჲმა;  
გაიღვიძა დღის შიკრიკმაც,—  
დილის სიომ, ცელქ გიემეჲმა!..  
ჩუ!.. ლურჯი ტყე აშრიალდა!..  
ხავერდოვან მოსასხამზე  
ნამი რატომ აცქრიალდა  
ასე აღრე, ამ სისხამზე?!  
ან და ბუჩქის ხუკუკუ თმებში  
რა გაიხლართ-გაიბანდა?!  
შემდეგ მივხედი, რო ცვარ-ნამის  
შბეფში სიო ტანს იბანდა:—  
ვნახე, ტყიდან გამობძანდა

და წანწყარა წყარო შესძრა...  
წყარომ ცქვიტად გაირბინა,  
თავს წაადგა კლდის ნაპრალებს,  
გადაიმტვრა, როგორც მინა,

ნამსხვრევებად ღრმა უფსკრულში

ჩაიფანტა, ჩაჩხრიალდა,

მზის სხივებზე აბჰყვრიალდა...

როცა შთლად ძირს ჩასრიალდა,

შესმა—ხევი ახრიალდა.

სიომ განზე გამოჰქროლა და მოედო

მინდორ-ველად,

მთელემარ ბალახს, ყვავილს ტანში

დაუარა ჭრუანტელად;

წამოფურჩქნა, გააღვიძა,

აუთრთოლა ტუჩზე ნამი,

დაუკოცნა ყელი, მკერდი,

აგრძნობინა შვების წამი...

სიხარულის დადგა ქამი!..

ბოლოს სიო სველი ფრთების

რხევით ჩემთან მოსისინდა,

მსუბუქ კანზე აეკრიფა

მიწის კრემლი, წრფელი, წმინდა,

და ეს მითხრა: „დილ-დილობით

ჩემი ფრთები კრემლში სცურავს,

მე მთა-და-ბარს კრემლებსა ეხოც,

ლამით თვალზე დანაწურავს,

თან ვუმღერი: მზის ლოდინში

ნაფრქვევ კრემლებს მზე ასწურავს,—

—და შენ, რატომ დაღვრემილხარ,  
სახე რატომ მოგიბურავს?!

ეს მითხრა და გაჰქრა საღლაც...

მე-კი ტკბილად ავლიდინდი,

მივაძახე, ჩემო ცელქო,

კაეშნის ფაშს კვლავ მოფრინდი,

გულზე მფინე შეგების ბინდი!!.

ი. სიხარულიძე.





# მ ი ნ ი ო ნ ა .

(შემდეგი).

## VI

### აუტანელი მდგომარეობა.



ავიდა ორი კვირა. მებულკეს ოჯახში ცხოვრება მინიონასათვის დღითი-დღე აუტანელი ხდებოდა. დიასახლისისაგან ლანძღვა-გინების მეტი არაფერი ესმოდა. ბრუნო აჯაურებდა და სცემდა; კურტი დასცინოდა. მუდმივი შიში, დამკირება და ყველასაგან მასხარად აგდება—აი როგორი შვიქნა ხვედრი მინიონასი. თვით მებულკეც აღარა ფიქრობდა მასზე. მართალია—ის კეთილი კაცი იყო, მაგრამ თავისუფალი დრო ძალიან ცოტა რჩებოდა. მან ვალი მოიხადა: ობოლს უპატრონა, სახლში შემოიყვანა და სკოლაშიაც მიაბარა;—დანაბრჩენი ცოლს მიანდო.

მინიონა ისე ხშირად აღარ სტიროდა. თუ ხანდახან ველარ მოითმენდა და ცრემლები მაინც წასკდებოდა, ცდილობდა, არაფის შეემჩნია. სამაგიეროდ შიში და სიმხდალედ დღითი-დღე უორკეცდებოდა. მხოლოდ ავგუსტი უაღერსებდა ყველასაგან ათვალისწუნებულ მინიონას. ისე არაფერს შე-



სკამდა, რომ მეგობრისათვის არ ეწილადებინა. ბოროტი დედა ავგუსტისა ყოველთვის წინ ეღობებოდა შვილის კეთილგულიანობას, მაგრამ, მოარიდებდა თუ არა თვალს, ავგუსტი განაგრძობდა მინიონასთან თამაშს და გართობას.

— არ დაგინახოთ „გლახის შვილთან“ მოთამაშე, თორემ დაგქოჩრავთო, — ხშირად ეტყოდა ხოლმე მებულკეს კოლი შვილებს.

ხანდახან, უქმე დღეებში, როცა დედა დაიძინებდა, ან დაღლილობისაგან თვლებს დაიწყებდა. ავგუსტი აიპარებოდა სამზარეულოში მინიონასთან და მოჰყვებოდნენ თამაშს. მინიონა აიღებდა ფიცრის ნაჭერს და წიკვლას და დაიჭერდა ისე, ვითომ სკრიპკაზე უკრავსო. ავგუსტი სალამურს უკრავდა. ისე დინჯად ეჭირათ თავი, თითქო ნამდვილი კონცერტი გაუმართავთო. ნაღვლიანი მინიონა გაიყურებოდა სადღაც შორს და ფიქრობდა იმაზე, თუ როგორ ასწავლიდა მას განსვენებული მამა სხვა-და-სხვა ხმების დაკვრას. ავგუსტიც ყურს უღდებდა, და ორივენი კმაყოფილნი იყვნენ.

— აჰ, ავგუსტ, ნეტაეი-კი ჩემი სკრიპკა გამოცოცხლა და სხვა არა მინდა რა, — ამოოხვრით ეტყოდა ხოლმე მინიონა ავგუსტს. — არ იცი, სად დამიშალა ის დედაშენმა? მიპოვნე, და ისე დაუკრა, ისე, რომ...

ბარემ ავგუსტსაც ძალიან უნდოდა აესრულებინა მინიონას თხოვნა, მაგრამ როგორ? სად უნდა ეპოვნა სკრიპკა? ბევრი ეძება, მაგრამ ვერას ვახდა. ვერ შენიშნა ბნელ ქერში ის ყუთი, რომელშიაც ეგდო მინიონას საყვარელი იარაღი.

ერთადერთ მანათობელ სხივად მინიონას ბნელ ცხოვრებაში იყო მებულკეს მოსამსახურე ქალი ქრისტინე, რომელსაც ის ძლიერ შეეჭვია.

ცივ დღეებში ქრისტინე გაახურებდა ბუხარს თავის ოთახში და მინიონასთან ერთად მიუჯდებოდა ბუხარიან და დგმულ მაგიდას. ბავშვისთვის ნამდვილი დღესასწაული იყო

ასეთი დღეები. ივახშმებდნენ ტკბილად და შეუღებოდნენ ხელსაქმეს. მინიონა სწივდობდა ვაკვეთილებს, ან ტანსაცმელს აკერებდა; ქრისტინეც რაიმე საქმეს აკეთებდა. დედა ვერ მოუვლიდა ისე შვილს, როგორც ქრისტინე—მინიონას.

— სირცხვილია, როცა ბავშვი დაგლეჯილი დადის, — ეტყოდა ქრისტინე მინიონას. — მართალია, ახალის ყიდვა არ შეგვიძლია, მაგრამ იმდენი საშვალეობა მაინცა გვაქვს, რომ სუფთა და დაკერებული ჩავიცვათ. რაც უნდა კარგი იყოს ადამიანი, თუ ჩათლახად დადის—ყველას ეჯავრება. მინიონაც დიდის ერთკულებით ასრულებდა ქრისტინეს სწივლადრიგებას და თან-და-თან შეეჩვია სისუფთავესა და წესიერებას.

კვირა დღე იყო. მინიონა იდგა სამზარეულოში და სწებნდდა ქრისტინესაგან დარეცხილ დანა-ჩანგალს. ის ყოველთვის შეველოდა ქრისტინეს აპისთანა საქმეებში და ქრისტინეც დიდი მადლიერი რჩებოდა. უცბად კარები გაიღო და სამზარეულოში შემოვიდნენ დიასახლისი და ბრუნო.

— რას აკეთებ, ზარმაცო, აქ? — დაუყვირა დედაკაცმა მინიონას: — ქალბატონივით ხომ არ გაძყოფებ ჩემ ოჯახში? დროა შენი შრომითაც იშოვო ლუქი პური. ხვალ ბაღდან-თან ერთან (ბაღდანი ერქვა მუშას, რომელიც ბუღკის დამტარებლად ჰყავდათ დაჭირავებული) წახვალ ბუღკის ჩამოსატარებლად. ის გასწავლის, თუ როგორ უნდა იარო.

— სკოლაში არ უნდა წავიდეს ხვალ? — შენიშნა ქრისტინემ.

— მეც ვიცი, რომ უნდა წავიდეს! — განა არ შეუძლია ცოტა ადრე ადგეს დილით? ადგება ექვს საათზე, რვაშდე ბუღკს ჩამოატარებს, და შემდეგ სკოლაში წავა. რას მიცქერი ასე გაკვირვებული: ვერ გაიგე, რაც ვითხარი?

ბრუნო, რომელმაც დედასთან ერთად მოიგონა ეს ახალი სასჯელი, განზე იდგა და გასაბრაზებლად მინიონას ეღრიჯებოდა.



— ბე, ბე, ბე! — ღმუოდა ის და უყოფდა ენას, ნას; — შენ ახლა ჩვენ კატას ჰგეგხარ. სწორედ ასეთია ის იმ დროს, როცა უნდა ვინმე დაიფხაქნოს. შენც ხომ არ გინდა დაგეფხაქნო? ჩქარა გადაგაჩვევ მაგეგებსაც, ქალბატონო მემუსიკე!

ბრუნო მივიდა მინიონასთან, სწვდა კულულებში და ისე შტლავრად, დაანჯღრია ბავშვი, რომ უჯანასკნელმა ველარ მოითმინა და საშინელი ხმით დაიყვირა. მებულკეს ცოლმა იმის მაგივრად, რომ ბრუნოს გასჯაერებოდა, მივარდა მინიონას და დაუწყო ყვირილი:

— გაკმინდე ხმა!.. მაბრაზებს შენი ტირილი! — ამ სიტყვების შემდეგ საბრალო ბავშვს სილა გააწნა. — რად გინდა შენ ეს კულულები? ვანა შენი საქმეა ეს? საწყალი საწყლად უნდა იყვეს. აღარ დაეინახო შენს თავზე თმა! ბრუნო, გაიქე, მაკრატელი ამომიტანე.

ბრუნო ელეის სისწრაფით გაჰქრა და თვალის დახამხამებამდე მოარბენინა ვეებერთელა მაკრატელი.

— ახლა-კი მოგკრით თავს! — ნიშნის მოგებით უთხრა ბრუნომ მინიონას და მაკრატელი ისე მოუღერა, თითქო მართლა თავი უნდა მოჰკვეთოსო.

ბავშვი აეტუზა ქრისტინეს და თმაზე ხელები დაიფარა. ქრისტინე აღელვებისაგან სულ თრთოდა, მაგრამ-კი არას ამბობდა.

— აბა, მოდი ჩქარა! შენთვის არა მკალია! — ღრიალებდა გაათურებული დედაკაცი.

— მე დავიქერ! — დაიძახა ბრუნომ და მინიონა წინ ფა-მოათრია. — ჩემად, ქალბატონო მემუსიკე, თორემ თავს მოგკრით, თავს... აბა ჰა, დავიწყით!..

„ჩიკ, ჩიკ, ჩიკ,“ — დაიჩხაკუნა მაკრატელმა და იატაკზე მოეფინა მინიონას ლამაზი, ხუტუკა თმა, რომლითაც ისე აშაყობდა საბრალო მოხუცი, მამა მინიონასი. ერთ წამში





## VII

## შ ი ო ბ ა.

დილით ადრე, როცა მებულკეს ოჯახობას ჯერ კიდევ ტყბილად ეძინა, მინიონა ბულკებით სავსე კალათით ხელში გამოვიდოდა ქუჩაში და გაუდგებოდა გზას პირველ დღეს ის გააცილა ბაგდანმა; შემდეგ-კი დადიოდა მარტო ბნელ ქუჩებში და თან ჩქარობდა, რათა სკოლაში არ დაგვიანებოდა. ქრისტინეს ძლიერ ებრალებოდა მინიონა და ცდილობდა ბავშვის მიძიმე ხვედრი რითიმე შეემსუბუქებინა. დილით, წასვლამდე ასმევდა ცხელ ყავას; საკუთარის შალით უბევედა თავ-პირს; აცმევდა თბილ ხელთათმანებს და ისე ისტუმრებდა საშუალოდ.

მიუხედავად ყველა ამისა, მინიონას, რომელიც შეჩვეული არ იყო ასე ადრე და სიცივეში გარედ სიარულს, ყინვა ძვალ-რბილში უვლიდა და აკანკალებდა. მეტის-მეტე სიცივისა და სიარულისაგან ფეხები დაუსივდა და დაუსკდა. ბოლოს ბავშვი ისე შეაწუხა ტყვიილებმა, რომ ტირილიც დაიწყო. ქრისტინემ, რაც-კი გაეგებოდა, მიიღო ზომები, მაგრამ ვერას გაზნდა: ბოლოს მან გადასწყვიტა ეთქვა ყველაფერი ქალბატონისათვის.

— ღირს-კი მავის შესახებ ლაპარაკი? მინუა უნდა შეეჩვიოს სიცივესაც და ყველაფერს. ბამბაში ხომ არ გავახვევ? ისიც ბევრია მავისათვის, რომ პურს ვაჭმევ, — ეყო პასუხი სსატიკი ქალბატონისაგან.

ქრისტინეს ძალიან ეწყინა ასეთი პასუხი, თუმცა წინდა-წინვე მოელოდა მას.

— აბა, ქალბატონო, თქვენ ბავშვებს ჰქონდეთ ფეხები დათარავებული, გამოაგდებთ მათ დილის ექვს საათზე ქუჩაში?

მებულკეს ცოლმა ისეთი აღშფოთებული თვალებით შე-

ხედა ქრისტინეს, რომ ამ უკანასკნელს ენა მუცელში ჯერჯერობით  
ვარდა.

— საბოლოოდ გიცხადებ, რომ არ გაბედო ჩემი შევიღების ვილაც გლახაკის შეილთან შედარება. ნუ თუ ისე ბრმა ხარ, რომ ვერ ხედავ განსხვავებას მათ შორის? ჩემ შევიღებს ჰყავთ პატივცემული შშობელნი; მათი საქმე არასოდეს არ წავა ისე, რომ სხვის ხელში შემყურე გახდნენ.

რა უნდა ეპასუხნა ქრისტინეს ამ სიტყვებზე? ის არც ისე გამოუცდელი იყო ცხოვრებაში, რომ არა სცოდნოდა შემდეგი ანდაზა და მისი მნიშვნელობა: „ძალა აღმართს ხნავსო,“ და ამიტომ სიჩუმით უპასუხა გაკაპასებულ ქალბატონს. ისევე თვისი მომჭირნეობით შეავროვა ორიოდ გროში და მინიონას ნაბდის რბილი ფეხსაცმელები უყიდა. ახლა სიარულის დროს ბავშვი ისეთ ტკივილებს აღარა გრძნობდა.

გავიდა დრო და ხანი. მოახლოვდა შობის დღესასწაული. ავგუსტმა შეადგინა გრძელი სია ნივთებისა, რომლებიც უნდოდა საშობაოდ მიეღო. — უთხრა აგრეთვე მინიონას, რომ მასაც ჩამოეთვალა ნივთები.

— არა, ავგუსტ, მე არ შემიძლია გამოეთქვა ჩემი სურვილი. დედაშენი კარგად გამიმასპინძლებოდა ამისათვის.

— შე-კი უნდა გაჩუქო რამე, მინიონა! — მიუხედავად დედის ბრძანებისა, ავგუსტი მაინც მინიონას ეძახდა შემუსიკის ქალს და არა მინუას. — ჩემი საკუთარი ფულით გიყიდი რამეს.

შობის წინა დღეს ანთეს შობის ხე. გაისმა ხარის წკარუნნი, რითაც ბავშვებს აცნობეს, რომ ოთახში შესულიყვნენ. მინიონა მოკრძალებით იდგა კარებში და შეტყურებდა გაბრწყინებულ შობის ხეს, რომლის კენწეროზე დასკუპებული ანგელოზი შეტის-შეტად მოსწონდა. არავინ ზრუნავდა საბრალო ობოლზე — ყველას თავი და თვისი ბავშვები ახსოვდათ.

— მინიონასთვის-კი არაფერი მოუშაიდებიან? — ჰკითხა ცოლის მებულკემ.

— როგორ არა, — ამრეზით სთქვა ცოლმა და კმარს კუთხეში მიდგმულ სკამზე უჩვენა. — აი, აქ აწყვია. ხომ არ გინდა, რომ მაგისი საჩუქარი ჩვენების საჩუქრებთან ელაგოს?

მებულკეს არ უნდოდა ჩხუბი და აყალ-მაყალი ასეთ ბრწყინვალე დღეს. ცოლის პასუხი ძლიერ ეწყინა, მაგრამ ეს წყენა გულში ჩაიკლა.


ავგუსტმა ჩაჰკიდა ხელი მინიონას და მიიყვანა კუთხეში სკამთან. თქვენ უკვე მიხვდებოდით, რომ ამ სკამზე ბევრი არაფერი იწყობოდა: საწერი დაუა, ოთხი გრიფელი, ორი რვეული და ერთი წყვილი დიდრონი ტლანჭი ჩუქმები, რომლებსთანას მხოლოდ გლეხები ატარებენ სოფლებში. იდო აგრედვე ორიოდე ვაშლიც. არც დედოფალა და არც სხვა სათამაშო. რა უმნიშვნელო და ღარიბული იყო მინიონას საჩუქარი სხვებთან შედარებით!..

ბრუნომ რასაკვირველია არაფერი უძღვნა მინიონას. სამაგიეროდ ავგუსტმა არ დაარღვია პირობა.

— მინიონა, — უთხრა მან მეგობარს, გაბრწყინებული სახით, — აი, ჩემი საშობაო საჩუქარი: მე ვიყიდე მარტომ-გახსენი და კარგ რამეს ნახავ.

გ. ლ — ძე.

(შემდეგი იქნება).





## კვირვასი ნაღირი.

(შემდეგი).



ილით, ამოჰყო თუ არა შხემ თავი, შე-  
მი გადმოხტა თავის საწოლიდან მიწაზე  
და გაუდგა გზას. კი არ მიდიოდა—მირ-  
ბოდა მამის დატოვებულ ნაცნობ კვალ-  
ზე. შიშნული აწუხებდა, მაგრამ არც ერთ  
ბლითს არ ახლო ხელი. რამოდენიმე ფე-  
სვი შეჰკამა; ხილი მოკრიფა გზაში; დალია.

წყაროს წყალი. შუადღემდის სხვა-და-სხვა ნიშნებისა და  
ქდეების შემწეობით მიიღწია მამის მეორე ღამის გასათევ ად-  
გილს. გადასწყვიტა ისევ გასდგომოდა გზას, რომ დაღამებამ-  
დის შემდეგ ღამის გასათევ ადგილას მისულიყო. დაისვენა  
და გასწია. შეუჭვეველი ადამიანისათვის საშიში ტაიგა შემს





არ აშინებდა. უყურებდა მზეს და იცოდა, საით იყო შინა  
ურასი, და შირბოდა წინ; მხოლოდ ხან-და-ხან შეჩერდებოდა  
ხილისა და საკმელად გამოსადეგ რალაც მცენარის ღეროების  
შოსაკრებად. ღეროებს სწუწნიდა დაღალულ-დაქანცულმა  
და შშიერმა მიაღწია საღამოს შამის შესამე ღამის სადგურს.

აკ სიხარული ელოდა: ნახა ხის ქერქი და ზედ დახატუ-  
ლი სამური. მიხვდა, რომ შამა სამურს სდევს.—ახლა-კი ჩქა-  
რა ვნახავ,—ფიქრობდა ბავშვი:—ხუთი დღეა, რაც შამა გა-  
შოვდა სახლიდან; მე ორი დღეა ტაიგაში ვარ: მაშასადამე  
ხვალ დავეწევი. ამ ფიქრებით დამშვიდებულმა ისევ მოიწყო  
საწოლი ხეზე და ტკბილად ეძინა ღამე. დილით კი უსიამოვნ-  
ება ელოდა. როგორც-კი გაუდგა გზას შამის ნაკვალევზე—  
დაინახა, რომ ეს კვალი საშინლად დაბანდულია. ნაკვალევი  
ყოველ მხარეს მოსჩანდა: მარცხნით, მარჯვნით, წინ და უკან.  
შემი იზნეოდა: ეკარგებოდა კვალი და ისევ პოულობდა.  
ისედაც დაღლილი ბავშვი ამან უფრო დაღალა. მთელი დღე  
სიარულის შემდეგ, მხოლოდ საღამოს წაადგა შამის ღამის  
სათვე ადგილს. ეტყობოდა—ახლა-ხან გაეთია ღამე: ნაცრის  
ქვეშ მიწა მოთბო იყო.—კიდევ ერთი დღე—და დავეწევი,—  
გაიფიქრა შემშა. ხეზე ჩამოკიდული სამურის სურათი ამტკი-  
ცებდა, რომ შამა საღმე ახლოს არის და სამურს უტრიალებს.  
გავიდა ღამე, და შემშა ისევ განაახლა ძებნა, მაგრამ ძებნა  
არაფრით არ დაგვირგვინდა. კვალი არეულ-დარეული იყო;  
ძახილზე პასუხს არავენ იძლეოდა. ძალ-ღონე გამოღეული,  
შშიერი ბავშვი ნადიროვით დაეხეტებოდა უშველებელ ტაიგა-  
ში, როგორც პაწია მწერი ბუმბერაზ ხეებ შორის. ფეხები  
ეშლებოდა, თვალბში წითელი რგოლები უელოვდა; დაღა-  
ლულობისა და შიმშილისაგან გული ელეოდა. საღამომდის  
იარა, მაგრამ ვერ ნახა შამის ღამე განათევი ადგილი და ქანც-  
გამოღეული თითქმის დაეცა ერთ დიდ ხის ქვეშ მიწაზე.  
ძალ-ღონე აღარ შესწევდა ამდგარიყო. შიმშილი მწვავედ

სტანჯავდა ბავშვს; მუცელს ჰგვრებდა; ყელი უშრებოდა...  
 შეეძლო კარგად გამძლარიყო: ზურგზე ბლითების მთელი  
 ასხმა ეკიდა, მაგრამ ბლითები სხვისა იყო, მამისა. ბავშვს აზ-  
 რადაც არ მოსვლია თუნდ ერთი მაინც შეეჭამა. შემი პატიო-  
 სანი ბიჭი იყო... უთხრეს— „თვითონ არ კამო—მამას მიუტა-  
 ნო!“ და განა შეიძლება არ აასრულოს ბძანება!—არა, სჯო-  
 ზია ხვალამდის მოვითმინო; ხვალ-კი უსათუოდ ვნახავ მამას,  
 დავლევთ ჩაის, ვკამ გემრიელ ნანადირევს; იჭნება მამამ ამ-  
 დენი სიარულის ჯილდოდ ბლითიც მომცეს...

დაიდვა თავქვეშ სანატრელი ბლითები და მოქანცულ-  
 მა ბავშვმა თითქმის მაშინათვე დაიძინა. მზეცის შიში სრუ-  
 ლიად დაეკარგა. აღარ დაუნახავს, როგორ შესცვალა სალა-  
 მო ბნელმა ღამემ, როგორ შემოსა წყვილიაღმა ხშირ-ფოთ-  
 ლიანი ხეები. დაიძინა ძლევა-მოსილმა ტაიგამ, მძიმე, შავ-  
 ბნელი, საშინელი ძილით. ჩამალა თავის გულში იქ მყოფი  
 ყოველი სულდგმული; ყველას შიშით აუვსო გული; არ გა-  
 ბედოთ ერთმანეთისა და სხვის ხელის ხლებაო!

მარტო მელამურებს—ქოტსა და ბუკნაქებს—არა სძინათ:  
 თავასი ველური კივილით არღვევენ დიდებულ სიჩუმეს და  
 შიშის ხარს სცემენ ყველას. მაგრამ შემის, რომელიც შინდო  
 თავის დედა—ტაიგის შზრუნველობას, მაგრად ეძინა. არ ესმო-  
 და ღამის მთველთა ხმაურობა; ვერ ხედავდა ტაიგის შავ-  
 ბნელ მძიმე ძილს; ვერ ხედავდა და ვერ გრძნობდა, როგორ  
 ფრთხილად მიიპარებოდა მისკენ ხეებში ტაიგის ბანჯგვლიანი  
 პატრონი—საშინელი დათვი.

ბანჯგვლიანს ამ ღამეს არ დაეძინა: რაღაც სხვა-და-სხვა  
 ნაირი სუნი აწუხებდა. მწარე ცნობის-მოყვარეობა არ აძლე-  
 ვდა მოსვენებას. უნდოდა გაეგო—რა სუნი ისმოდა.—მარტანი-  
 დან სახიზლარი სუნია, ორფეხა მზეცის—ადამიანისა;—მარჯე-  
 ნიდან-კი კვამლი მოდის. რამე ბიფათი ზომ არ გველის? ორ-  
 ფეხა მზეცი—ცბიერი მზეცია: იმისაგან ყველაფერი სისაძაგლეა

მოსალოდნელი. არა, ჩემი თვალით უნდა ვნახო, — ფიქრობდა ბანჯგვლიანი და ფრთხილად, — ცდილობდა შტოები არ დაემტვრია, — ჩუმად წავიდა იქით მხარეს, საითაც იწვევდა მის ორფეხა მხეცის სუნი. ჩაქრა იმისი ბანჯგვლიანი სხეული გამოჩნდა იმ ხის ახლოს, სადაც დამშვიდებით ეძინა პატარა ბიქს.

— მხოლოდ ეგ არის? განა ღირდა ღამე თავის შეწუხება ამ პაწია სულდგმულისათვის? სულთქმა-კი არ ისმის ფუი, რა საზიზღარია! მკვდარია, თუ სძინავს — ნეტავი? რათა აქვს ასეთი საძაგელი სუნი? ფუი, რა საძაგლობაა! პატიოსან მხეცს — დათვს — არც-კი ეკადრება იმის შექმა. მაგრამ რაღაც სხვა სუნიც მოდის. თავქვეშ რაღაც უცნაური, სუნიანი საგნები უწყევია. რა არის, ნეტავი, საქმელია თუ არა? თეთრ თეთრი, რგვალი. — რგვალი — რგოლებივით აწყევია; ოჰ, საშიშოა! სუნი-კი გემრიელი აქვს. უბრალოდ არ ექნება დაწყობილი. ოჰ, რა ეშმაკია ადამიანი! განგებ შემოიწყო თავქვეშ დათვის მოსატყუებლად მაცდური რგოლები. აიღებ თუ არა კბილებით, თვითონ უცებ მოგვიარდება... არა, სჯობია მოვშორდე ეშმაკს.

ბლითების გემრიელი სუნით გაბრაზებულმა დათვა მიიბრუნა იქით ცხვირი, ერთი დააცემინა, მოტრიალდა, დინჯად წავიდა და ჩაინთქა წყვდიადში; მაგრამ ხომ მაინც არ ეძინება და გულის დასამშვიდებლად ბარემ მეორე სუნის ამბავიც უნდა გამოიკვლიოს. ღამის კუდი სუნის ბანჯგვლიანმა მკვლევარმა გასწია იმ მხარეს, საიდანაც კვამლის და კიდევ რაღაც სხვა სუნი მოდიოდა. ჩაქრა მოჰქრა თვალი ხეებსა და ფურცლებში მკრთალ სინათლეს. ოჰ, ეს-კი სახუმარო ამბავი არ არის. აქ რაღაც კუდი ამბავი უნდა იყოს, — ფიქრობდა ტაიგის ბატონი. რაც უფრო უახლოვდებოდა სინათლეს, მით უფრო ცხოველდებოდა ხეებ შუა ცეცხლის წითელი ალი. ჩუმად მიიპარა დათვი უკანასკნელ ხესთან. წინ პაწია მინდორი იყო. მინდვრის შუაგულ-

ზე—იქ, სადაც ნაკადული მიწანწყარებდა, რომლის ანკარა წყალს ტაივის ცხოველები სვამდნენ,—ცეცხლი ენთო. ცეცხლთან იწვა ორფეხა ცხოველი—კაცი; მის მახლობლად—კი რა-



ღაც მყრალი ცხოველი ოთხფეხთა ჯიშისა. ჰმ—მ!.. უცნაური ამხანაგობაა—სწორედ. რაღაც უფიქროსი აქ, ძალიან უ-

დი. ოთხფეხა სულდგმულს არ სძინავს, გაფაციკებული ლეგს ცხვირს, დათვისავენ ყნოსავს და სმენადაა გადაქცეული.

მწარე ფიქრებში გართული იღვა დათვი რამდენსამე წუთს, მაგრამ ამ დროს ძალლი, რომელმაც ყნოსვით იგრძნო მხეცის მოახლოვება, სწრაფად წამოხტა და ყეფა ასტება. ყეფის ხმა მოეფინა მთელ ტყეს და გააღვიძა ღამის სიჩუმე. ყეფაზე ცეცხლთან მძინარე ორფეხას გაეღვიძა, სწრაფად წამოხტა და ხელი წამოავლო რაღაც უხვირო ჯოხის მზგავს საგანს. მაგრამ ვინ უბედავს რომ უყეფს აქ ტყის პატრონს? რაღაც საწყალი ოთხფეხი, რომელსაც საკმაოა ერთი თათი დაპკრას, რომ სული გააფრთხობინოს. განა დათვი მბდალია, — განა იკადრებს ვისმეს მბღლად ეჩვენოს? პირველად, მართალია, ცოტათი შეეშინდა, მაგრამ ამისთანა შეურაცხყოფას ვერ აიტანს. და დათვმა ძაღლის მკვეთრ ყეფას საშინელი ღრიალით უპასუხა. ძაღლი მივიარდა. დათვი სწრაფად დადგა უკანა ფეხებზე. ძაღლი ეცა ფეხებში და ჩასკიდა კბილები. დათვმა აუტანელი ტკივილი იგრძნო და საშინელი ღრიალით დააპირა სცემოდა ძაღლს და გაესრისა თავის ძლიერი დათვებით; მაგრამ, მოუქნია თუ არა თათი, რაღაც უცნაური ხმა გავარდა. ტაიგამ გაიღვიძა და ათასი გამოძახლით გამოეხმაურა. გამოძახილი გადადიოდა ხიდან ზეზე, და ბოლოს მიწყნარდა საღდაც შორს, ტყის ყრუ სიღრმეში. ტყის ბანჯგვლიანმა პატრონმა-კი ამ ხმაურობის შემდეგ იგრძნო რომ რაღაც ეცა, პირდაპირ გულში გაუარა და გული გააჩერა. რამდენსამე წამს იღვა უძრავად და ვერ ამჩნევდა, რომ ძაღლი მას სძიძგნიდა.

ბარალტაი იღვა ცეცხლთან და დამშვიდებით სტენდა თავის თოფს... უცებ დათვი შეირბა და მკვდარი დაეცა დედამიწაზე. ბარალტაის ტყვია პირდაპირ გულში მოხვდა.

შუალამისას გასროლილი თოფის ხმა შემოესმა მძინარე მემის და ნაცნობი ხმა იგრძნო. არა ეს ხმა არ გაუცრუვებს

შემს იმედს. უსათუოდ მამამ გაისროლა თოფი, უთუოდ ახლოს არის სადმე. ბავშვი სწრაფად წამოხტა ფეხზე. სადღაც შორს ძლივს გასაგონად ისმოდა ძაღლის ყრუ ყევა. — ეს ხომ ჩვენი ძაღლია, — იფიქრა მან და დაიყვირა

— ოჰ, — ჰო, — ჰოოო!

მასუხი არ იყო. ბავშვმა ყური დაუგდო.

— ოჰ, — ჰო, — ჰოო!.. — გაიმეორა მან.

ყევა შესწყდა. ტაიგაში ისევ გამეფდა სამარისებური სიჩუმე.

ბავშვმა მოიკრიბა, რაც ძალ-ღონე ჰქონდა, და კიდე დაიყვირა ნუ თუ მასუხი არ იქნება?

შორს ტყის სიღრმიდან ღამის წყვილიაღში უცებ შემოესმა ოღნავ გასაგონი, ყრუ, მაგრამ ხანგრძლივი, თითქოს სადღაც სივრცეში ოღნავი გრგვინვა.

— ჰო—ო—ო!.. — ბავშვმა ერთი კიდე დაიყვირა, და დარწმუნებული, რომ მამის ხმა იყო, გაიქცა იქითკენ; მირბოდა, ეჯახებოდა ხეებს, ედებოდა ბუჩქებს, ეცემოდა, დგებოდა და ისევ მირბოდა. მირბოდა, და თან ყვიროდა თავის ჰო, — ჰო, — ჰოს! და ახლა ცხადად ესმოდა მასუხიც. არც ღამის სიბნელე, არც მხეცი არ აშინებდა. საზარლად დასკვივლა თავს ხიდან ჭოტმა. იკვივლოს რამდენიც უნდა. ფეხქვეშ ტაკი-ტაკი გააქვს ფიჩხს. შრიალებს წამოდებული შტოები... უცებ რაღაცამ საშინლად გაიშრიალა. ბავშვი უნებურად შესდგა. ეჭვი არ იყო — მისკენ ბნელაში რაღაც მხეცი მორბოდა. მაგრამ, მანამ მოფიქრებას მოასწრებდა და ხეს ამოეფარებოდა, მხეცი ეცა და გულზე შეახტა.

ბავშვმა სტაცა მხეცს ხელი თავზე და დაჰკირა; მაგრამ მხეცმა კბენის მაგივრად დაუწყო წმუტუნით პირის ლოკვა-

— ოჰ, ეს ხომ ძაღლია, ჩვენი დიდი, ყურ-ტკვიტა ძაღლი! ჩემი ხმა გაიგონა და გამოიქცა შესახვედრად.

აუწერელი შიში სიხარულად გადაექცა; ბავშვმა მაგრად ჩაი-

კრა გულში ძალი—თავისი ერთგული მეგობარი; ძველდღეობაში წკმუტუნებდა და სახეს ულოკავდა. შემდეგ ძაღლმა მხიარული ყფით შეატყობინა ბარალტაის—უცხო-კი არავინ მოსულა—ჩვენი შემი მოვიდო, და ხტუნაობით გაუძღვა ბავშვს წინ გზის საჩვენებლად. ჩქარა ხეებში გამოჩნდა გაჩაღებული ცეცხლის სინათლე... აი ისიც, მამაც, შავ ლანდივით სდგას ცეცხლის სინათლეზე, ხელში თოფი უჭირავს და დევირვებით გასცქერის ტყეს... ბავში მივარდა მამას.

— შენა ხარ?—შეჰყვირა ბარალტაიმ შეილის დანახვაზე,— რამ მოგიყვანა აქ? რისთვის მოხვედი!

— ოთხი დღეა გეძებ, მამავ...—წარმოთქვა აქლოშინებული, დაქანცულმა შემიმ;—ბლითები და თამბაქო მოგიტანე, დედამ გამომიტანა... აჰა, გამომართვი!


თქვა თუ არა ეს, ბავში თითქოს დაეცაო, დაეშვა ცეცხლის პირას მიწაზე, დალილ-დაქანცული.

ბარალტაის ძალიან გაუხარდა. აილო ერთი ხელით ბლითების ასხმა, მეორეთი თამბაქო და ჰაერში ჭრევით მოჰყვა ხტუნაობას ცეცხლის გარშემო.

— ბლითები, ბლითები და თამბაქო!—ყვიროდა ის სხვადასხვა ხმით:—დედამ გამომგზავნა! კეთილი ქალია ალანმურ, ყოჩალი შვილი მყავს, კარგი, გულადი შვილი, ლამაზი შემი.

6. 6—დგ.

(დასასრული იქნება).





# ბროლა ადამიანის ბუნებასთან.

წერილი მეორე.

I



ირველ წერილში (იხილე ამ წლის „ნაკადული“, № 7) ჩვენ ვილაპარაკეთ იმაზე, თუ როგორ და რა გზით ცდილობდა ადამიანი ტყეებით მოცულ ადგილების გამინდვრებას ხენა-თესვისათვის. ვილაპარაკეთ ახლა იმაზე, თუ როგორ და რა გზით უმკლავდება ადამიანი ბუნების სხვა ძალებსაც, როცა ეს ძალები სარფა და სასარგებლო არ არის მისი კეთილ-დღეობისა და ცხოვრებისათვის.

ტყეებს გარდა, ადამიანის კეთილ ცხოვრებას ხელს უშლიდა მიწის ის თვისება, რომ, როცა ერთ და იმავე ადგილზე ყოველ წლივ ითესება ერთი და იგივე მცენარე, ეს ადგილი იმდენად იფიტება და სუსტდება, რომ ხეირიან მოსავალს აღარ იძლევა. ეს გარემოება მეტად საშიში იყო ადამიანის კეთილდღეობისათვის, რადგანაც, დროს მიმავლობაში, ყოველი დამუშავებული მიწა გამოიფიტებოდა—დასუსტ-



დებოდა და ამის გამო ადამიანსაც, რა თქმა უნდა, მუდამ დასჯირდებოდა შერეული საცხოვრებელი ადგილის და მაცხოვრებელი მამულის გამოცემა.

ამ საშიშ გარემოებას ადამიანი შეებრძოლა შემდეგი სამი საშუალებით: ერთი—დასათეს მცენარეთა ცვლით; მეორე—მიწის გაპოხიერებით, და მესამე—მლაშე მიწების გარეცხვით.

დასათეს მცენარეთა ცვლა იმას ეწოდება მეურნეობაში, რომ მეურნე, თუმცა ყოველწლივ სთესავს ერო. და იმავე ადგილზე კირნახულს, მაგრამ სთესავს მუდამ სხვა-და-სხვანაირს, მაგალითად: ჰიოველ წელიწადს რომ ჰურს (ხორბალს) სთესავს, ქერს, მესამე წელიწადს—ფეტვს, მეოთხე წელიწადს—სიბინდს და მეხუთე წელიწადს—კართოფილს. შემდეგ ერთს წელიწადს სრულიად აღარასფერს სთესავს, მიწას ასვენებს და მეორე კი ისევ იმავე რიგით განაგრძობს კირნახულის თესვას...

ასეთი წესი თესვისა და კირნახულის მოყვანისა აღარა პლლის მიწასა, რადგანაც თვითველი მცენარე სხვა-და-სხვა საზრდოს იღებს მიწიდან და ამის გამო მიწაც სამუდამოდ ღონიერი და მომცემი რჩება.

მეორე საშუალება—მიწის გაპოხიერება, იმაზე დაფუძნებული, რომ ძალა-გამოლეულ მიწას ადამიანი უბრუნებს ამ დაკარგულ ძალას სასუქის (ნების) დაყრით, ანუ მოაქვს სხვაგანიდან ჯერ ხელ-უხლებელი კარგი მიწა და აყრის თავის გამოფიტულ მამულს. ასე იქცევიან, მაგალითად, ფრანგები, რომლებიც ყოველ წლივ 130 მილიონ ფუტს ნოკიერ მიწას ეზიდებიან სხვა ადგილებიდან და აყრიან თავიანთ მოლლილ მიწებსა...

მიწები ბევრგან ისეა მარილით გაელენთილი, მაგალითად, ხმელთა შუა და კასპის ზღვების შორი-ახლო მდებარე მიწები, რომ სრულიად გამოუსედაგარია მეურნეობისათვის.

მიწების ამ ნაკლს ადამიანი იმით ებრძვის, რომ დრო-

გამოშვებით უგდებს ასეთ მინდვრებს წყალს; წყალი მინდვრებში მიწაში მყოფ მარილსა და მიაქვს თან; ზოლო მიწა უკეთესდება და დროს მიმავლოებაში მოსავალსაც კარგს იძლევა. საფრანგეთში ამ საშუალებით გამოაკეთეს რამდენიმე ასი ათასი დესეტინა მიწა, რომელიც ახლა რამდენიმე მილიარდი მანეთი ღირს და წინააღმდეგობადაც არააღიერებდა იქ.

## II

შემდეგი არა ნაკლები მტერი ადამიანის კეთილ-დღეობისა არის ქვიშა. ზღვების პირად, როგორც პირველ წერილშიაც მოვიხსენეთ, გროვდება აუარებელი ქვიშა, რომელიც იქ მთელ გორებს შეადგენს. ეს ქვიშის გორები ქარის დროს ედება მთელ არე-მარეს და მარხავს თავის ქვეშ საუკეთესო მინდვრებს და დაბა-სოფლებს. 1640 წლებში საფრანგეთში ასეთმა ქვიშამ დამარხა თავის ქვეშ ერთი სოფელი. მთავრობამ სოფელი ოთხი ვერსის დაშორებით გადაიტანა, მაგრამ ორასწლიან განმავლობაში ქვიშამ ეს სოფელი კვლავ დამარხა თავის ქვეშ. პეტერბურგის ახლო არის სოფელი სესტრორეკვი, რომელიც ისეა შეწუხებული ქვიშის კორიანტელისაგან, რომ ბევრი სახლი და ტყეები ორ-სამ საეცნზეა ქვიშით დაფარული.

ადამიანმა აქაც სასტიკი ბრძოლა გამოუცხადა ბუნებას და ბევრგან დაამარცხა კიდევ იგი. საფრანგეთში, გერმანიაში და ნიდერლანდიაში, მაგალითად, ასეთ ქვიშნარებს ხალხი ურევს სხვაგნაიდან მოტანილ თიხას და ამ სახით საუკეთესო მიწებად ხდის მათ. შემდეგ აშენებენ ასეთ შეზავებულ მიწებზე ვენახებს და ისეთ მცენარეებს, რომლებიც გრძელძირებს იკეთებენ მიწაში და მით მშვენივრად იკავებენ ქვიშნარებს აქეთ-იქით გაფანტვისა და გადატანისაგან.

## III

გეცოდინებათ, რომ, თუ მიწა მოკლებულია სისველეს, ყოვლად უნაყოფოა და არაფერს მოსაყავს არ იძლევა, რადგანაც მცენარე იკვებება მიწაში მყოფ წვენითა და სისველით. ამ დაბრკოლების ასაცილებლად ადამიანმა გამოიგონა არხების კეთება და მიწების მორწყვა წყლით.

დიდი მნიშვნელობა აქვს მცენარეების მორწყვას, მეტადრე ცხელს ქვეყნებში. სირია, მცირე აზია, ურიასტანი, არაბეთი და თვით ჩვენი საქართველოც ნამდვილ ედემს წარმოადგენდნენ უწინ. ეს იმიტომა, რომ ყველა აქ ჩამოთვლილ ქვეყნებში და ჩვენ საქართველოშიაც შრავლად იყო გაყვანილი სარწყავი არხები. მაგრამ დროს მიმავლობაში ეს არხები სულ მოიშალა და გაფუჭდა ცუდი მართველობისაგან, თუ ომებისაგან, და ოდესმე ედემის შზავსი ქვეყნებიც მთლად გავერანდნენ, გაუდაბნოვდნენ...

ივ. როსტომაშვილი.

(დასასრული იქნება).





## ევროპის ხალხთა ომი.



ალკანის ნახევარ—კუნძულის დასავლეთი ნაწილი უკავია ერთ პატარა სახელმწიფოს—სერბიას. სიერციტ ეს სახელმწიფო ორი საქართველოს ოდენაა. მცხოვრებელთა რიცხვი 4 ნახ. მილიონია. სერბიის საზღვრები: აღმოსავლეთით—რუმინია და ბულგარეთი; დასავლეთით: ავსტრია, ჩერნოგორია და ალბანია; სამხრეთით: საბერძნეთი და ჩრდილოეთით—ავსტრიის მცხოვრებლები.

სერბები ეკუთვნიან სლავის მოდგმას და რუსების ახლო ნათესავები არიან. სერბიის ისტორია მუდმივი ბრძოლაა თავისი ვინაობის დასაცველად. შეათე საუკუნიდან დაწყებული მეთოთხმეტემდე სერბიას მუდამ ებრძოდა ბიზანტია, მაგრამ სერბია მაინც ახერხებდა თავის დამოუკიდებლობის შერჩენას.

მეთოთხმეტე საუკუნეში მთელი ბალკანის ნახევარ—კუნძულის ხალხნი, და შათ რიცხვში სერბია, დაიპყრო ოსმალეთმა. მე-XIX საუკუნეში რუსეთის დახმარებით სერბიამ მოახერხა დამოუკიდებულობის შოვნა.

ახალ სახელმწიფოს საზღვრებში მოჰყვა სერბიის მიწა-წყლის ნახევარი; დანარჩენი დარჩათ ოსმალებს და სერბიის მომიჯნე სახელმწიფოს—ავსტრო-უნგრეთს. ორი წლის წინად



სერბიამ წაართვა ოსმალეთს ყველა თავისი ძველი პრინციპები. ომის შემდეგ სერბიის სახლემწიფოს საზღვრები თვალსაჩინოდ გაფართოვდა და მცხოვრებელთა რიცხვმა ერთი ორად იმატა.

სერბიის გაძლიერებას წინააღმდეგა ავსტრია, რადგან დარწმუნებული იყო, რომ, ადრე თუ გვიან, სერბიელები მოისურვებდნენ ავსტრიაში მცხოვრებ სერბების შეერთებას და ძველი სერბიის აღდგენას.

სერბიელები ძალიან მოწადინებული იყვნენ ოსმალეთთან ომის დროს როგორმე ჩაეგდოთ ხელში ნავთსადგური და გამოსულიყვნენ ზღვაზე; მაგრამ ავსტრია დაემუქრა სერბიას— ომს გამოგიცხადებ, თუ ზღვას არ მოშორდებიო. სერბია იძულებული იყო დამორჩილებოდა.

ავსტრია ცდილობდა, როგორმე შეევიწროებინა და დაესუსტებინა სერბია.

ვინ არ იცის რა დიდი მნიშვნელობა აქვს ზღვას ვაჭრობის, იღებ-მიცემობის გასაფითარებლად; ზღვით საქონლის გზავენა ბევრად უფრო იაფად ჯდება, ვიდრე ხმელეთით.

ავსტრია ცდილობდა საბაზი ეპოვნა და ომი გამოეცხადებინა სერბიისათვის, მაგრამ სერბიას თავი ძალიან ფრთხილად ეკირა. ამას გარდა— დიდი რუსეთი მფარველობას უწყევდა პატარა სერბიას,— ერთი იმიტომ, რომ სერბები რუსებს ენათესავენთან, როგორც მოდგმით, ისე სარწმუნოებით; მეორე— ავსტრიის გაძლიერება რუსეთისათვის არა-სასურველია.

სერბიის ხალხს საშინლად სძულს ავსტრიელები. ამ სიძულვილის შედეგი იყო ის, რომ წელს ივნისში ორმა სერბიელმა ახალგაზრდამ მოკლა ეტლით მიმავალი ავსტრიის ტახტის მემკვიდრე ფერდინანდი ტ მისი ცოლი. ავსტრიის მთავრობამ ისარგებლა იმით, რომ მემკვიდრის მკვლელები სერბები იყვნენ და მოსთხოვა პასუხის-გება სერბიის მთავრობას. ავსტრიის მთავრობა თბოულობდა, რომ ავსტრიის მოხელეებს

სიძულვილი აქვს მხოლოდ იმისადმი, რომელიც არაა მათივე მოსახლეობისა და რომელიც მათივე მოსახლეობისა და რომელიც მათივე მოსახლეობისა და რომელიც მათივე მოსახლეობისა

ნება ჰქონოდათ მოეხდინათ გამოძიება სერბიის სახელმწიფოს საზღვრებში: დაეკირათ და დაესაჯათ შემკვიდრის მკვლელობაში ყველა მონაწილე; ესე იგი—სურდათ თავისუფალ სერბიაში ისე ემოქმედათ, როგორც თავის საბძანებელში. ამაზე სერბია არ დაეთანხმა და ავსტრიამ გამოუცხადა სერბიას ომი. მაშინ რუსეთი გამოესაჩილა სერბიას და ყოველ შემთხვევისათვის იწყო ჯარის მოგროვება.

ამ ამბავს მოჰყვა ევროპის სხვა-და-სხვა ხალხთა ომი ერთმანეთის წინააღმდეგ.

ევროპაში ექვსი დიდი სახელმწიფოა: რუსეთი, საფრანგეთი, ინგლისი, გერმანია, ავსტრო-უნგრეთი და იტალია, დე მრავალი პატარა სახელმწიფოები: შვეიცია, ნორვეგია, რუმინია, სერბია, ბულგარეთი და სხვა. საერთო შორისო საქმეები წყდება ამ დიდი სახელმწიფოების სურვილისამებრ; მცირე სახელმწიფოებს არც-კი ჰკითხავენ ზოლმე. დიდი სახელმწიფოები დაყოფილია ორ მოპირდაპირე ბანაკად, კავშირად. ერთ ბანაკში შედიან: რუსეთი, საფრანგეთი და ინგლისი; მეორეში—ავსტრია, გერმანია და იტალია. მოკავშირე სახელმწიფოებს ერთმანეთში ხელ-შეკრულება აქვთ დადებული, რომ, თუ ვინცობაა რომელსამე კავშირს წევრს გაუქირდა, მოკავშირე უნდა მიეშველოს; მაგალითად—თუ ავსტრიას გაუქირდა, გერმანია უნდა დაეხმაროს; თუ რუსეთს—საფრანგეთი. პატარა სახელმწიფოები ზოგი ერთ ბანაკს თანაუგრძნობს, ზოგი მეორეს.

როცა რუსეთმა ჯარის გროვება დაიწყო, გერმანია დაეხმარა ავსტრიას და რუსეთს ომი გამოუცხადა. გერმანიამ იცოდა, რომ რუსეთს უსათუოდ საფრანგეთი დაეხმარებოდა და ამიტომ მოინდომა საფრანგეთში შეჭრა, ფრანგების დამარცხება და მერმე რუსებისკენ გალაშქრება. ფრანგებს გერმანიის საზღვრებზე მაგარი ციხეები აქვთ აგებული. მათ

აღებას გერმანელები ადვილად ვერ მოახერხებდნენ. ყოველ შემთხვევაში დიდხანს დასჭირდებოდათ ბრძოლა. ამით ისარგებლებდნენ რუსები და გადავიდოდნენ გერმანელების საზღვარზე. ამიტომ გერმანიამ მოინდომა საფრანგეთში სხვა გზით შესვლა.

გერმანიასა და საფრანგეთს შუა ძვეს პატარა სახელმწიფო — ბელგია. ბელგიელები ჩამომავლობით ფრანგები არიან. საფრანგეთს ბელგიის შიში არ ჰქონდა, ამიტომ საზღვრებზე სიმაგრეები თითქმის არ აუგია. გერმანიას უნდოდა ამით ესარგებლნა. ჯერ სთხოვა ბელგიის მეფეს, რომ ნება მიეცა გერმანიისათვის ჯარი გაეტარებინა ბელგიის მიწებზე საფრანგეთზე თავდასასხმელად; საშავიეროდ გერმანია ჰპირდებოდა ბელგიას ყოველნაირ შექმნობას. ბელგიამ მტკიცე უარი შეუთვალა გერმანიას. მაშინ გერმანიამ ძალით მოინდომა გავლა და შეიყვანა ბელგიაში თავისი ჯარი. ბელგიელებმა სასტიკი წინააღმდეგობა გაუწიეს გერმანელებს და რამდენჯერმე კიდევ დაამარცხეს ისინი. ყველაზე უფრო მეტად გაუჭირდა გერმანელებს ერთ დიდ ციხესთან, ლიეჟთან. ბოლოს გერმანელებმა აიღეს ლიეჟი და ბელგიის დედა-ქალაქი ბრიუსელი.

ბელგიაში გერმანელთა შესვლა საბაზად გამოიყენა ინგლისმა გერმანიისათვის ომის გამოსაცხადებლად ინგლისსა და გერმანიას შორის მეტოქეობაა კარგა ხანია. გერმანია გაძლიერდა, გაამრავლა თავისი ჯარი და სამხედრო და სავაჭრო ფლოტი ზღვაზე. ვანავითარა თავისი ვაჭრობა-მრეწველობა და მთელ ქვეყანას მოჰფინა თავისი ქარხნების ნაწარმოები; ამ საქმეში-კი პირველობა წინად ინგლისს ეკუთვნოდა. ამიტომ ინგლისმა გამოუცხადა ომი გერმანიას და ავსტრო-უნგრეთს, რადგან ეს უკანასკნელი სახელმწიფო გერმანიის მოკავშირეა.

სერბიის მოკავშირე ღ მონათესავე ხალხი ბალკანეთში — პატარა ქვეყანა, — ჩერნოგორია მიემხრო სერბიასა და ავსტრო-უნგრეთს და გერმანიას ებრძვის.

შორეულ აღმოსავლეთის სახელმწიფომ იაპონიამ ისარგებლა იმ შემთხვევით, რომ გერმანია ომშია გართული; იაპონიას სურს წაართვას მას დაპყრობილი ქვეყნები (კოლონიები) აღმოსავლეთში და ამის გამო ამ ბოლო დროს გერმანიას ომი გამოუცხადა.

ამგვარად დღეს ცხრა სახელმწიფოა ომში ჩაბმული: გერმანიას და ავსტრო-უნგრეთს ებრძვიან — რუსეთი, საფრანგეთი, ინგლისი, ბელგია, სერბია, ჩერნოგორია და იაპონია.

ირაკლი.








## სრული მზის დაბნელება.

ამ თვის რვა აგვისტოს,  
 1914 წ., როგორც სხვა-  
 გან, ისე ჩვენში, მოხდა  
 მზის დაბნელება. იგი ყველ-  
 გან ერთ დროს არ და-  
 წუვებულა, როგორც ეს  
 ხდება ზოლმე მთვარის და-  
 ბნელების დროს. არა,

იგი სხვა-და სხვა ადგილას—სხვა-და სხვა დროს დაიწყო, რო-  
 გორც მაგალ. პეტროგრადში—1 ს. და 19 წუთს, მოსკოვ-  
 ში 2 ს. და 1 წუთს, თბილისში-კი 3 ს. და 29 წუთს, და  
 გაგრძელდა დაახლოებით 15—20 წუთს. ეს მზის დაბნელება  
 სრული იყო სხვა-და-სხვა ალივას; ჩვენში-კი სავსებით არ და-  
 ბნელებულა იგი, ისე რომ მზის ნაწილი მაინც სჩანდა. ეს-  
 აიხსნება იმით, რომ მზის დაბნელება, სხვა-და-სხვა ადგილას,  
 სხვა-და-სხვა გვირად ხდება. მზის დაბნელება სავსებით გამო-  
 ჩნდებოდა იქ, სადაც ვაიარა უმთავრესმა ხაზმა. ხოლო სხვა  
 ადგილებიდან-კი გამოჩნდა იმის და მიხედვით, თუ რამდენად  
 იყვნენ დაშორებულნი ისინი ამ ხაზს.

ეს საზოგადოდ ასე ხდება ყოველთვის, და არც შეიძლება  
 სხვა გვირად მოხდეს. აი, მაგ. (ნახაზი 1) ვსთქვათ, რომ წერ-  
 ტილი—არის მზის გული, ანუ ცენტრი; მაშინ **ა ბ გ** იქნება  
 მთვარის ჩრდილის კონუსი. ვინც ამ კონუსს შიგნით მოექ-  
 ცევა, იმისთვის მზის დაბნელება სრული იქნება, რადგან

მთვარის ბნელი დისკო მთლად დაფარავს მზეს. ხოლო ვინც-კი ამ კონუსს გარეშე იქნება მოქცეული, დაინახავს მზის ნაწილის დაბნელებას, და ეს დაბნელებული ნაწილი



(ნახაზი I) სრული მზის დაბნელება.

მით უფრო პატარა იქნება, რამდენადაც მზის შემყურე მოცილებული იქნება ამ ცენტრს, მთავარ ადგილს. ჩვენც და შორებულნი ვიყავით იმ ცენტრიდან, და ამიტომაც ვერ ვნახეთ სრული მზის დაბნელება. მხოლოდ უდიდესი ნაწილი იყო დაბნელებული.

რა არის მზის დაბნელება? როგორ ხდება იგი, ან ჩვენ როგორ გვეჩვენება ეს მოვლენა? ამ უკანასკნელ კითხვაზე პასუხის მიცემა, ასე თუ ისე, თითქმის ყველას შეუძლია ვინც-კი იყო მზის დაბნელების მოწამე. მზის დაბნელების დროს სინათლე ნელ-ნელა ძალას ჰკარგავს და ბინდი ეფინება არე შარეს, არა-ჩვეულებრივი მდგომარეობაა და რაღაც შინაგანი გრძობა იპყრობს ადამიანის არსებას. ჰაერი ცივდება: ნელი სიო შლის ფრთებს და იწყებს ნავარდს. მოყვითანო, ბინდ-მოცული ზეწარი ეფინება ქალაქს; გძელი ჩრდილები ეფინება ქუჩებს, და ყველა ეს რაღაც სიზმარს მოგვაგონებს.

უფრო კარგი სანახავეა მზის დაბნელება სოფლად. . ბუნება ისხამს რაღაც შავ მანტიას; მთები წარბებს იკრავენ და პირქუშად გამოიყურებიან; ამწვანებული ველ-მინდორი ჰკარგავს მწვანე ხავერდის ფერს. შინაური ცხოველები და ფრინველებიც არა რჩებიან გულ-გრილ მაყურებლებად: იწყება საცოდავი ბლავილი ცხოველებისა; ფრინველები მიეშურებიან საბუღარებისკენ ერთი კაცანით და ვაი-ვაგლახით;



და ასე დამფრთხალნი კვლავ ეგებებიან ხელ-ახლად რებულ მზის ბურთს.

მზის დაბნელება დიდ შიშსა ჰგვირდა უწინდელ ხალხს, და აქი შრავალ ცრუ-მორწმუნეობის წყაროდაც შეიქნა იგი. მაგალითად ჩინეთში მზის დაბნელების მიზეზად სთვლიდნენ გველეშაპს, ისე რომ 1888 წელსაც-კი დაფსა სცემდნენ მის შესაშინებლად, რომ პირი ებრუნებინა და მზე აღარ დაეჭირა. ოსმალოები უფრო შორს წავიდნენ და ტყვიაც-კი დაუშინეს ამ „ქვეყნის მტერს.“ ბევრგან იგი უბედურების მომასწავებლად მიაჩნდათ და მიაჩნიათ კიდევ არც ჩვენი ქართველები ჩამორჩნენ სხვებს: მზის დაბნელება ჩვენებმაც თავისებურად ახსნეს. მაგალითად, ზოგსა სწამს, რომ მზის დაბნელება ომიანობის მომასწავებელია, ზოგნი-კი, ღვთის მორწმუნე ხალხი, ამ მოვლენას, ცოდვების გამრავლებას აწერენ.

ჩვენ წინაპრებისთვის კარგა ხანს იყო მზის დაბნელება შიშის მგვრელ მოვლენად, მაგრამ, მეცნიერების გაძლიერებისთან ერთად, ნელ-ნელა იკარგება ცრუ-მორწმუნეობა, ქრება შიში და საღი შუქი ეფინება ხალხის გონებას. დღეს-კი უკვე შესწავლილია წესი და რიგი ამ მოვლენისა, ისე რომ შეგვიძლიან მოკლედ გავითვალისწინოდ მისი მიზეზებიც. უკვე ძველი მეცნიერები სცდილობდნენ ამ მოვლენის ახსნა-განმარტებას. ისინი ძალიან მარტივად იკვლევდნენ და ახლოებით დროს მზის დაბნელებისას, მის დროგამოშვებით განმეორებას ემყარებოდნენ, რე ეს არც ისე ძნელია. როგორც უკვე გამოანგარიშებულია, მზე ბნელდება ყოველ 18 წლის და ათი დღის შემდეგ, და ამ განსაზღვრულ დროს ქალდეველებმა საროსი უწოდეს. ეს საროსი კი შედეგია იმის, რომ მზე, მთვარე და დედამიწა კანონ-შეწონილად მოძრაობენ და განსაზღვრულ დროს განსაზღვრულ მდგომარეობაში არიან. ერთი ამგვარი მდგომარეობა არის მზის დაბნელება.

ვიდრე თვით მზის დაბნელებაზე დავიწყებდეთ საუბარს, აღნიშნულ მოვლენას, რომელიც, როგორც აღვნიშნეთ, ყოველ 18 წლის და ათი დღის შემდეგ ხდება, მდგომარეობაში არიან.

საკიროა ერთი-ორი სიტყვით გაიხსენოთ, თუ როგორია მზის დაბნელება და მისი შემადგენლობა. ეს გაგვიადვილებს მზის დაბნელების საკითხის გარკვევასაც. მზე, როგორც ვიცით, არის შუაგული მნათობი იმ პლანეტათა სისტემისა, რომელსაც, სხვათა შორის, ჩვენი დედამიწაც ეკუთვნის. იგი არის ყველა პლანეტაზე დიდი, ყველაზე რთული და ყველას მაცოცხლებელი. იგი ყველა პლანეტებს უზგზავნის სითბოს და სინათლეს, ურომლისოდაც სიცოცხლე შეუძლებელია. იგი გვეჩვენება როგორც დიდი ცეცხლის ბურთი, რომელიც ჩვენი პლანეტიდან დაშორებულია 150 მილიონი ვერსით, 8 წუთს უნდებიან მისი სხივები, რომ ჩვენამდის მოატანონ. როგორც დაახლოვებით არის გამოანგარიშებული, მზე ისეთი დიადი წყაროა სითბოსი, რომ რამდენიმე დღის განმავლობაში იგი ხარჯავს იმოდენა სითბოს, რამდენსაც გამოსცემდა დედამიწის ზომის ნახშირი, ვიდრე სულ მთლად დაიწვოდა. ხოლო რაც შეეხება მზის შუქს, იგი 200-ჯერ ძლიერია, ვიდრე შუქი ელექტრონისა, და 619,000-ჯერ ძლიერი, ვიდრე შუქი სავსე მთვარისა. უბრალო, შეუიარაღებელი თვალით მზის დაკვირვება შეუძლებელია; ტელესკოპით—სახიფათოც არის. საკიროა ან ფერადი, ან და გამურულ მინის მოხმარება, რომ თვალი უვნებლად გადარჩეს. მაშინ-კი მზე გვეჩვენება როგორც ზედ-შეტად ელვარე და სხივ-მფრქვეველი დისკო, რვაგალი ფორმის, რომელიც ლამაზად არის გამოქანდაკებული ცის სივრცეზე. სინათლეს-კი მისი ზედა-პირი გვიგზავნის, რომელსაც ვხედავთ; მეცნიერებაში მას ფოტოსფერო ეწოდება, ე. ი. მზის ირგვლივ მყოფი შუქმფრქვევი ატმოსფერო. ეს ფოტოსფერო მცირე ტელესკოპში მოსჩანს, როგორც თანაბრად გაშუქებული რამ; ძლიერ გადიდებულ ტელესკოპში-კი აქრელებულად, მოფენილია პარცელისებური რამ, მეტად ელვარე წერტილებით; ისინი გაფანტული არიან შედარებით ნაკლებათ გაშუქებულ ველზე.

მეცნიერმა ნასმიზსმა ეს მარცვლები შეადარა ვერბუის ფო-  
 თოლს; სეკვიმ-კი—ბრინჯის მარცვლებს. ეს შვის ლაქები  
 ყველგან თანასწორად-კი არ არიან გაფანტულნი; შვის ეკვა-  
 ტორის ახლო ისინი ნაკლებად არიან. ძალიან საინ-  
 ტერესოა იმის აღნიშვნა, რომ ეს ლაქებიც თურმე კანონ-  
 შეწონილად ჩნდებიან და ჰქრებიან; მათაც ჰქონიათ პერიო-  
 დები, თუმც მისეზი მათი პერიოდულობისა ჯერ არ არის  
 გამოკვლეული, მაგრამ ეს ჩვენ დღევანდელ საუბრისთვის არც  
 არის საჭირო. საჭირო იყო მხოლოდ გახსენება შვის ვითა-  
 რებისა, ასე რომ ახლა პირდაპირ შეგვიძლია შვის დაბნელე-  
 ბაზე ვილაპარაკოთ.


თვით სახელი შვის დაბნელება ვერ გამოხატავს სინამ-  
 დვილეს. მზე სულაც არა ბნელდება. იგი მხოლოდ იფარება,  
 როდესაც მთვარე ჩადგება ხოლმე შვისა და დედამიწის შო-  
 რის. ეს ხდება მთვარის განახლების დროს, როდესაც მთვარე  
 არა სჩანს ჩვენთვის, როდესაც მისი ჩვენსკენ მოქცეული მხა-  
 რე დაბნელებულია. გზა მთვარისა და დედამიწის ერთ ხაზზე  
 რომ მდებარეობდეს, მაშინ ყოველ მთვარის განახლებაზე  
 მოხდებოდა შვის დაბნელება. ეს-კი ასე არ ხდება. რატომ?  
 იმიტომ, რომ დედამიწა, ყოველ წელიწადს ტრიალით უწ-  
 ლის მზეს. ხოლო ამასთანავე გზა მისი ერთ ხაზს არ სცილ-  
 დება, რომელსაც მისივე ორბიტა ეწოდება. მთვარესაც საკუ-  
 თარი ორბიტა აქვს, რომელიც დედამიწის ორბიტასთან  
 ჰქმნის კუთხეს და უდრის 5 გრადუსს. ეს ორივე ორბიტები  
 სჭრიან ერთმანეთს სწორე ხაზზე, რომელსაც ნასკვის ხაზი  
 ეწოდება. როდესაც დედამიწის და მთვარის ორბიტა შეიყრე-  
 ბიან ამ ხაზზე, მაშინ ხდება შვის დაბნელებაც. ხოლო შვის  
 დაბნელება ყოველთვის სავსებით-კი არა ხდება; იგი შეიძლე-  
 ბა იყვეს ნაწილობითიც, რკალისებურიც. ეს აიხსნება იმით,  
 რომ მთვარე ან მაღლა მიდის, ან დაბლა, და ვერა ჰფარავს  
 სავსებით შვის ბურთს. როდესაც მზე სრულიად ბნელდება,

ე. ი. — როდესაც მთვარე ისე ჩადგება ხოლმე დედამიწისა და მზის შორის, რომ სავსებით ჩრდილავს მზეს, მაშინ რამდენიმე წუთის ჰქრება ცის თაღზე მზის ელვარე ფოტოსფერო და მის ადგილს იკვრს შავი რგვალი ლაქა. რკალისებურ დაბნელების დროს-კი, როგორც თვით სახელი გვიჩვენებს, მთვარის შავ რგოლს გარშემო რჩება ელვარე რკალი, რომელსაც ელვარ სწვდება მთვარის შავი რგოლი, მისი ჩვენგან სიშორის გამო. ეს არის მიზეზი ეგრედ-წოდებულ მზის დაბნელებისა.

ახლა ვნახოთ, თუ როგორ გვეჩვენება მზე დაბნელების დროს. უკვე დიდი ხანია, რაც შემჩნეულია, რომ მზის სრული დაბნელების დროს მთვარის შავი დისკოს გარშემო ჩნდება ხოლმე რაღაც ელვარე ხაზები, რომელსაც აქამდის თვალის მოტყუებას აწერდნენ. ახლა კი, როდესაც შეიმუშავეს საუკეთესო იარაღები, სპექტროსკოპები, გამოჩნდა, რომ თვალის მოტყუება-კი არა, სინამდვილე ყოფილა, მზის კუთვნილება. გამოირკვა, რომ ეს ხაზები, ანუ როგორც მეცნიერები უწოდებენ — პროტუბერანტები, ყოფილა აღმოხეთქვა ხრომო-



(ნახაზი II) ნაწილობითი მზის დაბნელება.



(ნახაზი III) რკალისებური მზის დაბნელება.

სფეროსი, რომელიც ფოტოსფეროს ზედა-პირადა აქვს შენოვლებული. ამ მოვლენის საბოლოოდ დადასტურება ეკუთვნის საფრანგეთის გამოჩენილ ასტრო-ფიზიკოს ჟანსენს, რომელიც 1868 წ. წავიდა ინდოეთში ამ მოვლენათა გამოსარკვევად და დარწმუნდა კიდევ სინამდვილეში. ამასთანავე ისე

გააუმჯობესეს სპექტროსკოპი, რომ ამ ელვარე ხაზების შესწავლა ახლა ყოველთვის შეიძლება.

იქვე უნდა მოვიხსენიოთ მზის გვირგვინიც, რომელიც მზის სრული დაბნელების დროს გამოჩნდება ხოლმე, ისიც რამდენიმე წუთით; ვიდრე მზე საესებით დაბნელებულია. თუმცა ჯერ შეუსწავლელია იგი, მაგრამ მაინც ასტრონომებს მოეპოვებათ ცნობები, რომელნიც შედარებით მაინც გვაცნობენ მზის გვირგვინის ვითარებას. ამ გვირგვინის შინა მხარე საკმაო ნათელ პირად და თანასწორად არის შემოვლებული ხრომოსფეროს გარშემო; რაც შეეხება გარე მხარეს, ნაპირს, აქ იგი შესდგება მრავალ სხივთა კონებისაგან, რომელნიც ხშირად ძალიან დიდ ზომასაც აღწევენ. ასე მაგალ. 1898 წ. შემჩნეულ იქმნა სხივი, 9,000.000 კილომ. სიგრძისა. ეს ზომა უდრის ერთ მეჩვიდმეტედს იმ მანძილისას, რომელიც მზისა და დედამიწის შუა მდებარეობს. არც შუქი, და არც სიძლიერე ამ გვირგვინისა ყოველთვის ერთგვარი არ არის. ხან მკრთალია და სუსტი, ხან-კი ზედ-შეტად ელვარე და ძლიერი. არც მისი ფორმაა ყოველთვის ერთ ყალიბისა, იგიც იცვლება. ხოლო რაც შეეხება მის შემადგენლობას, ამაზე მეცნიერებაში სხვა-და-სხვა შეხედულებისა არიან — ერთნი იძაბიან, რომ ეს ერთგვარი გაზია, მზის გარშემო შემოხვეული, როგორც დედამიწის ატმოსფერა; მეორენი იძაბიან, რომ ეს არის შუქი აუარებელ მეტეორთა, რომელნიც მზის გარშემო დასრიალებენო, და სხვა-და-სხვა. მაგრამ უკვლა ეს მხოლოდ მოსაზრებაა, და არა ჭეშმარიტება, — რაიმე გადამწყვეტილი დასკვნა ჯერ-ჯერობით შეუძლებელია.


ასეთია ვითარება ე. წ. მზის დაბნელებისა. ძალიან საინტერესოა მისი მზერა და დაკვირვება; და აქი ხალხიც ვაფაციკცებით უმზერდა ამ სანახაობას: გამურულ მინებით შეიარაღებულნი გატაცებით შესცქეროდნენ შავ-მანტია წამოსხმულ ზეცას. უმზერდნენ ალტაცებით პირველ სხივს მზისას, და კვლავ ხალისით უხედებოდნენ მოკლე ხნით მიფარებულ სიციცხლის და სინათლის წყაროს.

ვახტანგ კოტეტიშვილი.



# რ ე ბ უ ს ი

(წარმოდგენილი ვლადიმერ თავართქილაძეს-მიერ).




ამ რეზუსის ბოლო ცხილვით მეორე გვერდზე.





ნ — ” — ” ს — მ



მ-7 №-ში მოთავსებულ შარადის და გამოცანის  
აღსნა.

- 1) ენა.
- 2) კმ.



რედაქტორი ნინო ნაკაშიძე. გამომც. თ. პ. ი. თუმანიშვილი.




გვ.

ბ ა კ ა დ უ ლ ი

ნ — ” — ს , მ

(სიმბოლოები რომელი რეცხიდან იღებოდა?)



მ-7 №-ში მოთავსებულ შარადის და გამოცანის აღსნა.

- 1) ენა.
- 2) კმ.



რედაქტორი ნინო ნაკაშიძე. გამომც. თ. პ. ი. თუმანიშვილი.